დემოკრატიის ვირტუალური აკადემიის ბიბლიოთეკა

საქართველოს პოლიეთნიკურობა და პოლირელიგიურობა

საფრთხე თუ გასაფრთხილებელი მონაპოვარი?

გიორგი მასალკინი

დემოკრატიის ვირტუალური აკადემიის ბიბლიოთეკა

გიორგი მასალკინი

საქართველოს
პოლიეთნიკურობა და პოლირელიგიურობა

საფრთხე თუ გასაფრთხილებელი მონაპოვარი?

თბილისი - 2020

რედაქტორი:	**ანა ჭაბაშვილი**
დიზაინი:	**თინათინ ხიდაშელი**
დამკაბადონებელი:	**ეკატერინა ჯამალაშვილი**
წიგნზე მუშაობდნენ:	**თინათინ ხიდაშელი, გიორგი კანაშვილი, თამარ ავალიანი.**

გამოცემულია ორგანიზაცია "სამოქალაქო ინიციატივა - დემოკრატიული, ევრო-ატლანტიკური არჩევანისათვის - იდეას" მიერ, დემოკრატიის ვირტუალური აკადემიის ბიბლიოთეკის ფარგლებში, ნიდერლანდების სამეფოს და Black Sea Trust ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები, შესაძლოა არ გამოხატავდეს სამოქალაქო იდეასა და ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ყველა უფლება დაცულია. აკრძალულია ამ გამოცემის ნებისმიერი ნაწილის პუბლიკაცია, შენახვა ან გადაცემა ნებისმიერი ფორმითა და ხერხით. ელექტრონული იქნება, თუ მექანიკური - ფოტომასალის მეშვეობით ან სხვა სახით," სამოქალაქო ინიციარივა - დემოკრატიული, ევროატლანტიკური არჩევანისათვის -იდესთან" წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ISBN 978-9941-490-02-6

© სამოქალაქო იდეა, 2020

www.civicidea.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი პირველი
შესავალი.
საერთაშორისო ფონი. „ახალი იდენტობის ძიებაში“. 5
ნაწილი მეორე
ერის რაობის საკითხის აქტუალობა, სირთულე და
კომპლექსურობა საქართველოს მაგალითზე. 11
ნაწილი მესამე
ტერმინი „ერის“ განსაზღვრებები.
კლასიფიკაციის მცდელობა. 16
ნაწილი მეოთხე
ილია ჭავჭავაძე - ერის მოქალაქეობრივი თუ ეთნიკური გაგება?
ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის მნიშვნელობაზე. 23
ნაწილი მეხუთე
ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიები.
კლასიკური ტექსტები. 28
ნაწილი მეექვსე
კლასიკური და ზოგიერთი სხვა თეორიის გავლენა ნაციონალურ
დისკურსზე საქართველოში. ცნება „დიდი იდენტობა“. 36
ნაწილი მეშვიდე
თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის რადიკალიზაციის
ფენომენი და მისი მიზეზები. 41
ნაწილი მერვე
რელიგიისა და ეკლესიის როლი ნაციონალური იდეის
ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.
ნაციონალური საკითხი სეკულარიზაცია-რესეკულარიზაციის
პროცესის პრიზმაში.
გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიური ღირსების
ურთიერთობის საკითხი. 47
ნაწილი მეცხრე
საქართველოს ნაციონალური პოლიტიკის მარცხის მიზეზები
დამოუკიდებლობის პირველ წლებში. 53

ნაწილი მეათე
ენის საკითხი. ენობრივი პოლიტიკა.
განათლების საკითხი. 69

ნაწილი მეთერთმეტე
დასკვნის სახით.
რთული პოლიფონია versus კონსენსუსი. 74

შესავალი

საერთაშორისო ფონი „ახალი იდენტობის ძიებაში“

ვიწყებთ საუბარს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ, რთულ და კომპლექსურ თემაზე - ერის რაობაზე, ერის ეთნიკურ და პოლიტიკურ განზომილებებზე. შევეცდებით, პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს:

- როდის და რა პირობებში ყალიბდებოდა ქართველი ერი;
- რა არის ეთნიკური ნაციონალიზმი და რა არის სამოქალაქო ნაციონალიზმი;
- რა არის ეთნიკურობაზე დამყარებული ერი და რა არის სამოქალაქო ერი;
- რას წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში „ახალი იდენტობების ძიების“ ფენომენი;
- როგორია ეროვნული (თუ ეთნიკური) უმცირესობების უფლებრივი (ფართო გაგებით) მდგომარეობა საქართველოში და რამდენად წარმატებულია მათდამი გატარებული პოლიტიკა;
- რას წარმოადგენს საქართველოს სტაბილური (უსაფრთხო) განვითარებისთვის მისი პოლიეთნიკურობა და პოლირელიგიურობა - საფრთხეს თუ გასაფრთხილებელ მონაპოვარს;
- რას წარმოადგენს დღეს ცნობილი დიქოტომია ჭეშმარიტება - პატრიოტიზმი;

შევეხებით ასევე ავტონომიების საკითხს. ენის, ზოგადად, განათლების პოლიტიკას და სხვა ამასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნაციონალური საკითხი, ჩემი აზრით, არის უპირველესი საკითხი თანამედროვე სამყაროს დღის წესრიგში. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს **იდენტობის ძიების** ახალ პროცესთან, რომელიც თანამედროვე ადამიანის ცნობიერების **რადიკალიზაციის ფენომენის** ფონზე მიმდინარეობს. თავად რადიკალიზმი შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის ისტორიის მარადიულ თანამგზავრად, რომელიც აქტიურდება გარკვეულ პირობებში... და თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ამ პირობებმა იჩინა თავი. ამ პირობებიდან ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რო-

გორც უკვე ვთქვით, სამყაროში ახალი იდენტობის ძიების დრამატულ პროცესში უნდა ვეძიოთ.

დასავლეთში გავრცელებულია, ერთი მხრივ, ე. წ. „პოსტკოლონიალური სინდრომი“ - ყოფილი კოლონიების და, ზოგადად, კოლონიალური წარსულის მიმართ დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობა, კომპლექსი; და, მეორე მხრივ, პოლიტკორექტულობის სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც გარკვეულად კავშირშია ამ სინდრომთან. ამ ორმა ფენომენმა დასავლურ საზოგადოებებში გარკვეული პოლიტიკური კულტურის ფორმირებას შეუწყო ხელი და ჩამოაყალიბა გარკვეული სემანტიკური წესები და სამართლებრივი ნორმები. ეს, შედარებით ახალი პოლიტიკური კულტურა, არ არის თავისუფალი პოლიტიკური და სოციალური ხასიათის რისკებისგან. ასე, მაგალითად, „წმინდა ძროხის“ რანგში აყვანილი პოლიტკორექტულობა ქმნის ახალ იდეოლოგიურ ტაბუებს, როდესაც ზოგიერთი საკითხისა და პრობლემის განხილვა ან საერთოდ იკრძალება, ან ამ განხილვას თან ახლავს უამრავი დაწერილი თუ დაუწერელი წესი და შეზღუდვა. სწორედ ამ იდეოლოგიური აკრძალვებისა და ჩარჩოების გამო არ და ვერ მოხერხდა იდენტობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემებისა და გამოწვევების გამოვლენა და მათი ანალიზი.

ბოლო წლებში ევროპაში მიმდინარეობს მიგრაციის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც ევროპელთა ფართო მასებში განწყობების რადიკალიზაციას განაპირობებს. ტრადიციული ღირებულებების მქონე ევროპელი, როგორადაც ის თითქოსდა საბოლოოდ ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, დღეს უკვე თითქმის აღარ არსებობს. ევროპის წამყვანი პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების საჯარო განცხადებებში ხშირად მოისმენთ მსჯელობას მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის მარცხზე ევროპაში, რაც იძლევა საშუალებას, ერთმანეთს დავუკავშიროთ ცნობიერების რადიკალიზაციისა და მულტიკულტურული პოლიტიკის კრახის ფენომენები.

2018 წელს სტრასბურგში, ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, საფრანგეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ემანუელ

მაკრონმა ევროკავშირის ქვეყნებს მოუწოდა პოპულისტური და ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ გაერთიანებისკენ, ვინაიდან ისინი, მისი აზრით, საფრთხეს უქმნის ევროპის ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობებს, მათ სიმყარეს. „იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ევროპაში მიმდინარეობს ერთგვარი სამოქალაქო ომი, რომელშიც თითქოს ჩვენი უთანხმოება, და ასევე, ნაციონალური ეგოტიზმი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთიანი ფრონტის შენარჩუნება...“ [1]

აქვე გავიხსენოთ ევროპის კიდევ ერთი პოლიტიკური ლიდერის განცხადება. 2010 წლის 16 ოქტომბერს, პოტსდამში, ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მულტიკულტურალიზმის კონცეფციამ მის ქვეყანაში სრული კრახი განიცადა და რომ გერმანიას არ სჭირდება მიგრანტები, რომლებიც ვერ მეტყველებენ გერმანულად. [2]

ბუნებრივია, არსებობს ანგელა მერკელის სხვა ხასიათის გამონათქვამებიც. მაგალითად, ის, რომ ისლამი უკვე გახდა გერმანიის ნაწილი. რომ გერმანელები უნდა შეეჩვიონ, რომ მეჩეთები მათი ქალაქების იერსახის ნაწილია და ა.შ. [3]

1997 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ტონი ბლერის ლეიბორისტულმა მთავრობამ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის გატარება ეროვნულ ამოცანად გამოაცხადა.

2011 წელს უკვე ახალი პრემიერ-მინისტრი, დევიდ კამერონი აცხადებს, რომ „სახელმწიფო მულტიკულტურალიზმმა კრახი განიცადა, რომ ის აღმოჩნდა მორიგი უტოპია. რომ შემწყნარებლობა არ უნდა იყოს გამოყენებული იმათ მიმართ, ვინც შეუწყნარებელია ქრისტიანული კულტურის ფასეულობებისადმი, რომელთა მატარებელია დიდი ბრიტანეთის ძირითადი მოსახლეობა. [4]

ნიკოლა სარკოზის საფრანგეთის პრეზიდენტად ყოფნის დროინდელი გამოსვლიდან: ჩვენ, დემოკრატიულ ქვეყნებში, მეტისმეტად დიდ ყურადღებას ვაქცევდით იმათ იდენტობას, ვინც ჩვენთან ჩამოდის და, ამასობაში, ჩვენი იდენტობის საკითხი დაგვავიწყდა. საფრანგეთში ჩამოსულებმა უნდა ისწავლონ ფრანგების ერთობაში ცხოვრება. ვინც ამას ვერ შეძლებს, მათ შეუძლიათ, არ ჩამოვიდნენ.

ნიკოლა სარკოზი იზიარებდა დევიდ კამერონის და ანგელა მერკელის პოზიციებს მულტიკულტურალიზმის კრახთან დაკავშირებით. [5]

თანამედროვე ადამიანის ცნობიერების რადიკალიზაცია არ არის მხოლოდ ევროპული მოვლენა. იგივე პროცესი მიმდინარეობს აშშ-შიც. რადიკალიზებულია რუსეთის საზოგადოება. სწორედ რადიკალიზაციის კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ქემალიზმის პოლიტიკის რევიზიის მცდელობები თურქეთში. ასევე დასავლეთში არსებული ევროსკეპტიკური განწყობები (ბრიტანეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ავსტრია და სხვა). რადიკალიზებულია საქართველოს საზოგადოებაც, რომელმაც მხოლოდ 30 წლის წინ დაიწყო ისტორიაში დაბრუნება, ისტორიის სრულფასოვან სუბიექტად გადაქცევა. ქართული ცნობიერების დრამატულობა (და ერთგვარი ტრავმატულობაც კი) ცნობიერების რადიკალიზაციის საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს. ჩვენ განვიცდით ბავშვურ წყენას სამყაროსადმი და ვცდილობთ ვიცხოვროთ იდეალიზებულ და მითოლოგიზებულ წარსულში („დროებითი ვექტორი“). წარსულში, რომელიც არის სიმულაკრი, ქიმერა.

რადიკალიზმი არის როგორც საზოგადოების უმწიფრობის, ასევე საზოგადოებაში კრიზისულობის მაჩვენებელი. „ტრადიციულ“ დასავლეთში ცნობიერების რადიკალიზაციას საზოგადოების უმწიფრობას ვერ დავაბრალებთ. ეს უფრო იმ საზოგადოებებს ეხება, რომლებიც „ბრუნდებიან ისტორიაში“ ტოტალიტარული ან კოლონიალური წარსულის შემდეგ. დასავლეთში ცნობიერების რადიკალიზაცია შედეგია კრიზისისა, რომელსაც კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემა წარმოშობს (წარმატებული, სრულფასოვანი კომუნიკაციის სირთულე იმ კულტურებს შორის, რომლებსაც ფასეულობათა განსხვავებული სისტემა და პრინციპები აქვს). [6]

თანამედროვე სამყაროში იდენტობის ძიების ახალი და დრამატული პროცესი საერთაშორისო ურთიერთობებში ნეომოდერნისტული (პოსტპოსტმოდერნისტული) ტენდენციების ფონზე მიმდინარეობს, რაც, ბუნებრივია, დიდ გავლენას ახდენს ქვეყნების შიდა პოლიტიკურ ვითარებაზეც. ნეომოდერნისტული ტენდენციების მახასიათებლებია:

ნაციონალიზმი - კონცენტრირება საკუთარი ქვეყნის სპეციფიკურ ნაციონალურ ინტერესებზე და **ტრანსაქციონალიზმი** (მკვეთრი პრაგმატიზმი საგარეო ურთიერთობებში;

ჰოლიზმი - ეკონომიკის მაგივრად წინ წამოწევა ისეთი ცნებებისა, როგორებიცაა ეროვნული უსაფრთხოება, ეთნოკულტურული იდენტობა, ქვეყნის სუვერენიტეტი;

ისტორიზმი - თითქოსდა მივიწყებული დიდი ნარატივების აღორძინება, ახალი მითომთხზველობა... [7]

ასეთი, საკმაოდ რთული საერთაშორისო პირობები და ფონი საქართველოს ავალდებულებს, გააძლიეროს საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის მშენებლობის დარგში.

გია ნოდია, ნაციონალიზმის საკითხების ერთ-ერთი მთავარი მკვლევარი საქართველოში, აღნიშნავს, რომ დღევანდელ ევროპაში საუკუნეების განმავლობაში ურთიერთგადამტერებულ ქვეყნებს ერთმანეთთან ომი ვეღარც კი წარმოუდგენიათ. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ პოსტეროვნული ევროპაც შედგა? რომ შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა - ევროპელი ხალხი? - სვამს ის კითხვას. მისი აზრით, არაფერი ამის მაგვარი არ მომხდარა. „ევროპული დემოსი“ ვერ შეიქმნა და ამას არც პირი უჩანს. ევროპა, როგორც ევროკავშირი, არის დიდი პოლიტიკურ-ბიუროკრატიული ჩარჩო, რომელშიც ევროპელი ერები კვლავ შედიან თავიანთი ეროვნულ -სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით, ენებით, კოლექტიური მეხსიერებებით, თვითმყოფადობებით და ამას ემატება ის გარემოებაც, რომ საკმაოდ ნაციონალისტურად განწყობილი ბალტიისპირელები, რუმინელები, უნგრელები, პოლონელები ან სლოვაკები მშვენივრად ჩაეწერნენ ევროკავშირის ინსტიტუტებში. ამის გამო ესტონურ, რუმინულ თუ სლოვაკურ იდენტობებს რაიმე საფრთხე არ შექმნიათ, პირიქით, ევროკავშირის ჩარჩოში ჩასმის შემდეგ მათი ნაციონალიზმი კიდევ უფრო ლეგიტიმური და მყარი ხდება. მეორე მხრივ, ძველ და ტრადიციულ ევროპაშიც - საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ესპანეთში, დიდი ბრიტანეთში - ნაციონალიზმი მზარდი პოლიტიკური ძალაა და არა კლებადი. [8]

არსებობს კი დღეს ევროპის მოდელი, ევროპული ცხოვრების წესი, როგორც სტანდარტი, როგორც მისაბაძი მაგალითი? თუ მართალი იყო **მაჰათმა განდი**, როცა შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებს დასავლურ ცივილიზაციას, მან უპასუხა: **დასავლური ცივილიზაცია შესანიშნავი რამ იქნებოდა, რომ არსებულიყო!**

ევროპული იდენტობა წარმოადგენს ერთიან, ერთგვაროვან კონტექსტს, ტექსტს, თუ ის განსხვავებული კონტექსტების ერთიანობაა, რომელიც სივრცეში და დროში იცვლება? რა გავლენას მოახდენს ევროპის იდენტობაზე იგივე ბრექსიტი? რამდენად აქვს გაცნობიერებული ევროპული დინამიკა ჩვენს საზოგადოებას?

ლანგვლოდთში ინდივიდი ერის სრულფასოვანი პოლიტიკური სუბიექტი და მოქალაქე, და ამისათვის მას არ სჭირდება აუცილებელი მიკუთვნებულობა რომელიმე ჯგუფისადმი - იქნება ეს ეთნოსი, კლანი, კონფესია თუ სხვა.

ევროპა, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული ნორმატიული მოდელია, გარკვეულ ღირებულებათა სისტემა, რომელშიც მოიაზრება ასევე სამოქალაქო ერის არსებობა და **სოლიდარული საზოგადოება.**

დასავლეთში ინდივიდი არის სრულფასოვანი პოლიტიკური სუბიექტი და მოქალაქე, და ამისათვის მას არ სჭირდება აუცილებელი მიკუთვნებულობა რომელიმე ჯგუფისადმი - იქნება ეს ეთნოსი, კლანი, კონფესია თუ სხვა. მიჩნეული იყო, რომ **ევროპამ უკვე შეძლო სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბება, სადაც მთავარი - ადამიანია. მიაღწია იმ ეტაპს, როცა არსებობს ტრადიციულისა და მოდერნულის, უნივერსალურისა და ინდივიდუალურის ორგანული შერწყმა, ადამიანის უფლებათა და ტრადიციონალიზმის ორგანული კავშირი.**

ამავდროულად, ჩვენ ყველანი მომსწრენი ვართ, რომ იდენტობის საკითხი თანამედროვე ევროპაში კვლავ მთავარ, მძიმე და კომპლექსურ პრობლემად რჩება.

გავაგრძელოთ კითხვა და ვეძიოთ პასუხი შეკითხვაზე, რა *სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში.*

ერის რაობის საკითხის აქტუალობა, სირთულე და კომპლექსურობა საქართველოს მაგალითზე

არსებობს, მინიმუმ, ორი გარემოება, რომლებიც საქართველოში ერის რაობის საკითხის აქტუალობას, სირთულეს და კომპლექსურობას განაპირობებს.

პირველი გარემოება: საქართველო - მისი კონფესიური სიჭრელის გამო - შეიძლება ფენოვან ხაჭაპურს შევადაროთ. ის ერთ-ერთი ყველაზე პოლიეთნიკური და პოლირელიგიური ქვეყანაა მსოფლიოში. ამ სიჭრელის გამო თავს იჩენს სხვადასხვა ტიპის დანაწევრების რისკები. ამ მხრივ ჩვენ მეტად სავალალო გამოცდილება გვაქვს. ეს რისკები ნაციონალური პოლიტიკის რაციონალურად გატარებისკენ გვიბიძგებს. გია ნოდია სამართლიანად აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ქართულ პოლიტიკურ ტრადიციას აგრძელებს, რომ მასში მოსახლეობის უმეტესობა ქართველია და სახელმწიფოებრიობის გარკვეული ატრიბუტებიც ქართულია (სახელმწიფო ენა, ჰიმნი და ა.შ.), სახელმწიფოს სახელით მიღებული ნებისმიერი საპროგრამო დოკუმენტი ქვეყნის მთელი მრავალეთნიკური მოსახლეობის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს და არა მხოლოდ ეთნიკური ქართველებისას. ყველა, ვინც იყენებს სიტყვებსა და ცნებებს: „ერი“, „ეროვნული ინტერესები“, „ეროვნული იდეოლოგია“ და სხვ., უნდა აცნობიერებდეს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს მათ: ეს არის მხოლოდ ეთნიკური ქართველები თუ საქართველოს მთელი მოსახლეობა (საქართველოს ხალხის აზრით). [9]

მეორე გარემოება: საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება გამოყენებული იქნას ფორმულა, რომლის მიხედვითაც, ქართული ეთნოსი, ქართველი ხალხი ფლობს უძველეს კულტურას, წარმოადგენს ახალ ერს (ნაციას) და სახელმწიფოებრივად არის ნორჩი წარმონაქმნი (ტერმინებს „ერი“ და „ნაცია“ იდენტური მნიშვნელობით ვიყენებ, ინგლისური nation, რუსული - нация). ამ სახელმწიფოებრივი „ნორჩობით“ არის განპირობებული მთელი რიგი პრობლემებისა. ქვეყანამ, რომელსაც თითქმის 800 წელს ჰქონდა

შეზღუდული სუვერენიტეტი და თითქმის 200 წელს ჰქონდა დაკარგული დამოუკიდებლობა, დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობა სულ რაღაც 30 წლის წინ. არადა ჩვენი ტიპის ქვეყნებში ეთნიკურიდან სამოქალაქო რაციონალიზმად გარდაქმნაში დიდ როლს სწორედ სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები ასრულებენ. სახელმწიფოს მშენებლობისათვის აუცილებელი გახდა სახელმწიფოებრიობისათვის დამახასიათებელი ყველა საჭირო ატრიბუტის, თვისების, მახასიათებლის შეძენა-აღდგენა-გამომუშავება, დაწყებული სახელმწიფო საზღვრის გაყოლით და მისი კონფიგურაციის დასაბუთება-დაცვით და დამთავრებული ახალი ეროვნული ისტორიული ნარატივის შექმნით, სადაც თავის ადგილს იპოვიდა ერის ახალი გაგება პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ ქვეყანაში. ამ რთული ამოცანების გადაჭრა არ აღმოჩნდა მარტივი საქმე. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების საზღვარზე რადიკალურმა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა ქვეყანა მძიმე სიტუაციაში ჩააგდო და ქვეყნის ტერიტორიული და პოლიტიკური დეზინტეგრაცია გამოიწვია. ჩვენ გვჭირდება ამ პროცესების გაანალიზება, რადგანაც ცნობილი კონფლიქტების გადაჭრის აუცილებლობის გარდა, ქვეყანა დღესაც დგას ერთიანი ეროვნული ორგანიზმის შექმნის ამოცანის წინაშე. პროცესის ანალიზის ნაწილია ერის ეთნიკური და სამოქალაქო განზომილების, ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის რაობის განსაზღვრა. პასუხის გაცემა კითხვაზე - მიმდინარეობს თუ არა ქვეყანაში ეთნიკური ნაციონალიზმის გარდაქმნა სამოქალაქო ნაციონალიზმად და რა წამახალისებელი და ხელშემშლელი ფაქტორები ზემოქმედებს ამ პროცესზე. [10]

ჩამოყალიბდა თუ არა საქართველოში სამოქალაქო ნაციონალიზმის იმგვარი პროექტი, რომელიც ჩაანაცვლებდა ეთნონაციონალიზმით წახალისებულ შოვინიზმს, „სხვების“, განსხვავებულისადმი შიშს, ქსენოფობიას? შეიმჩნევა თუ არა საქართველოში, ისევე როგორც დანარჩენ სამყაროში, ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის გაძლიერება და ცნობიერების რადიკალიზაცია? იმოქმედა თუ არა კორონავირუსით გამოწვეულმა ვითარებამ ქსენოფობიური განწყობების გააქტიურებაზე (როგორ აისახა ეს ტე-

ნდენცია სოციალურ ქსელებში?). რა როლს ასრულებს შეუწყნარებლობის გაღვივებაში, განსხვავებულის სიძულვილის კულტივირებასა და ძალადობის წახალისებაში თანამედროვე ქართული მართლმადიდებელი ეკლესია?

საკმაოდ ლეგიტიმურად გამოიყურება მოსაზრება, რომ რადიკალურად განწყობილი ჯგუფები ხშირად იმართებიან ხელისუფლების მიერ, თუნდაც საკუთარი თავის „პროგრესულად“ წარმოსაჩენად და სხვადასხვა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.[11]

ერის რაობის სამი ძირითადი ხედვა არსებობს:

1. **„ერი“ („ნაცია“) ახალი, მოდერნული დროის მოტანილი ფენომენია და მას, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი შინაარსი აქვს.**
2. **საპირისპირო ხედვა ცნება „ერს“ შედარებით „აბერებს“.**
3. **ყოველდღიური ცნობიერების ხედვის მიხედვით, ტერმინი „ერი“ თითქმის მთლიანად ეთნიკურის აზრით გამოიყენება.**

ამ სამი მიდგომიდან რომელი დომინირებს ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში და ასევე, საზოგადოების მასობრივ წარმოდგენებში?

ერის „დაბერების“ მომხრეების პოზიციას კარგად გამოხატავს გიორგი მაჭარაშვილი. ის წერს: „ზოგიერთ თანამედროვე ნაშრომში ვხვდებით ასეთ დებულებებს: ქართველი ერის იდეა მე-19 (!) საუკუნის 60-იან წლებში წარმოიშვა. ამ დროიდან ხდება ქართველი ერის ჩამოყალიბება. ამ დროს იბადება მრავალეთნიკური ქართველი ერი... ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებებს, რადგან მიგვაჩნია, რომ ქართველი ერის იდეა მოდერნულ დრომდე გაცილებით ადრე წარმოიშვა. საისტორიო წყაროები მოწმობენ, რომ შუა საუკუნეებში, მაშინაც კი, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო არ არსებობდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრ მოსახლეობას (აფხაზეთი, კახეთი, სვანეთი, თრიალეთი, კლარჯეთი...) ერთიანი ეროვნული თვითშეგნება ჰქონდა. ისინი თავის თავს ქართველებად მიიჩნევდნენ და ქმნიდნენ საერთო ქართულ კულტურას. ამრიგად, არასწორად მიგვაჩნია ქართველი ერის იდეის მოდერნული დროით დათარი-

ღება. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმის თანამედროვე დასავლური თეორიების შემოტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში ნამდვილად მისასალმებელია, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველი ავტორები ხშირ შემთხვევაში არასწორად არგებენ ამ თეორიებს ქართულ ისტორიულ რეალობას. ისინი არ წარმოგვიდგენენ წყაროების ობიექტურს კვლევას. მათ შრომებში გადმოცემული დებულებები არცთუ იშვიათად მოკლებულია სათანადო მეცნიერულ დასაბუთებას და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ პოლიტიკური კონიუნქტურით არის ნაკარნახევი“. [12]

საქართველოსთვის, როგორც განსაკუთრებით პოლიეთნიკური ქვეყნისთვის, ერის რაობის სწორად გაგება და ამის საფუძველზე სწორი და ეფექტიანი „შეკრებითობის“ პოლიტიკის გატარება, პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს სტაბილურობასა და უსაფრთხოებასთან. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ - ნაციონალურს (ეთნიკურს) თუ სამოქალაქოს. ამისათვის ქართულმა საზოგადოებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ქართული ნაციონალიზმის ცალსახად ეთნიკურ საფუძველზე აგება წინააღმდეგობაში მოდის პოლიეთნიკური საქართველოს ინსტიტუციური, დემოკრატიული მომავლის მშენებლობასთან. საქართველოს საზოგადოების ქსოვილი არაერთგვაროვანია ეთნიკურად და რელიგიურად. რამდენად მიიღწევა მისი ერთიანობა? რა ტიპის ერთიანობაა სასურველი? რას ნიშნავს, როცა ხარ ქართველი - ეს ნიშნავს „ქართულ სისხლს“? ქართულად მეტყველებას? როცა ხარ ქართული ცნობიერების და კულტურის მატარებელი? ხარ მართლმადიდებელი? რომელი ნიშანი იძლევა იდენტიფიკაციის საუკეთესო საშუალებას?

1999 წელს ზურაბ ჟვანიამ სტრასბურგში განაცხადა: **„მე ქართველი ვარ, მაშასადამე, ვარ ევროპელი“.** ეს იყო პოლიტიკოსის „საუნდბაიტი“, მოკლე და დასამახსოვრებელი ფრაზა, რომლითაც ადამიანის თავებში მნიშვნელოვანი იდეა, „მესიჯი“ ჩაიბეჭდა. მაგრამ ვისი პათოსი იყო ეს? კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის თუ ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილისა? ახალგაზრდობის?

სამოქალაქო საზოგადოების? არასამთავრობო სექტორის? **არის კი ყველა „მე“ ქართველი? არის კი ყველა „მე“ ევროპელი?** [13]

თუკი ქართველობა გენეტიკურია, მაშინ აბო თბილელის ფენომენს რა ვუყოთ? რელიგია? კი, დიდგორის წინ აღმაშენებელი თავის ჯარს არ მიმართავს სიტყვებით ,,ქართველნო“. იგი მის წინ შეკრებილ ჭრელ, სხვადასხვა ეროვნების ხალხს აერთიანებს სიტყვებით – ,,მეომარნო ქრისტესნო“. მიუხედავად ამისა, დღეს ჩვენი თვითიდენტიფიკაცია მხოლოდ რელიგიური კუთხით ვერ მოხერხდება. რა ვუყოთ აჭარას, რა ვუყოთ ქართველ მუსლიმებს, იუდეველებს, გრიგორიანელებს, ან თუნდაც ადამიანებს, რომელთაც არ სწამთ? კულტურული კუთვნილების მიხედვით ქართველობის განსაზღვრება, ერთი შეხედვით, ყველაზე მართებული ჩანს. მაგრამ დავფიქრდეთ - ვინ არიან დღეს ჩვენი შვილების ზღაპრული და კინემატოგრაფიულ-ანიმაციური გმირები? აქვს კი დღეს ქართულ კულტურას ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა და ენერგია (?) [14]

შეიძლება ამ ღერძული ნიშნის მოპოვებაში დაგვეხმაროს იმის გააზრება, რომ ერი, მისი იდენტობა და თვითმყოფადობა, როგორც ღირებულებები, რომელთაც უნდა გაუფრთხილდეთ და რომლებსაც ემყარება პოლიტიკური ერთეულის ლეგიტიმურობა, არის ევროპული იდეა. იდეა ერი-სახელმწიფოსი. რომ საქართველოში ეს იდეა სწორედ ევროპიდან შემოვიდა (თავდაპირველად - რუსეთის გავლით), მისი შემომტანი კი ის ხალხია, ვისთანაც „ქართველობის“ მოდერნული იდეა ასოცირდება (ამაზე ქვემოთ). რომ არა ეს ევროპული იდეა, ქართველი ერი არ იარსებებდა - ანუ არ იარსებებდა იდეა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, და ამ იდეიდან შემდეგ არ ამოიზრდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობა, წერს გია ნოდია, - ქართველობისგან ძირითადად დარჩებოდა ის, რასაც ქართულ „ჯიშს და ჯილაგს“ ვეძახით.... დაგვრჩებოდა ხაჭაპური და საცივი, ქართული ცეკვა და სიმღერა. სავარაუდოდ, დედმამიშვილების სადღეგრძელოც შემოგვრჩებოდა რაღაც დრომდე. მაგრამ, - სვამს ის ლეგიტიმურ კითხვას, - ჩათვლიდნენ თუ არა თავს ერთი „ჯიშის და ჯილაგის“ მატარებლებად სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, ეროვნული უმცირესობები? [15]

ტერმინი „ერის“ განსაზღვრებები. კლასიფიკაციის მცდელობა

არსებობს ერის გაგების ორი ძირითადი განსხვავებული პოზიცია: მკვლევრების ერთი ჯგუფი ერს კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან აიგივებს, რაც გამორიცხავს სხვა ეთნოსის წარმომადგენლის ამ ერის წევრად ყოფნას. **ეს არის ეთნიკური ნაციონალიზმის იდეა და პოზიცია.** ის ექსკლუზიურია და სისხლის პრინციპს ეფუძნება.

მეორე ჯგუფი მკვლევრებისა მიიჩნევს, რომ ერი დაფუძნებულია მოქალაქეობის იდეაზე და საერთო ფასეულობათა სისტემაზე. შესაბამისად, ნებისმიერს, ვინც ამ იდეას და ფასეულობათა ამ სისტემას (ფასეულობათა უმრავლესობას) იზიარებს, შეუძლია, ამ ერის წევრი გახდეს (განურჩევლად ეთნიკურობისა). ამ ხედვით ერი ინკლუზიური ფენომენია. **ეს არის სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეა და პოზიცია.**

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ჩვენი ქვეყნის აკადემიური წრეების სოლიდური ნაწილი და, ჩემი აზრით, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა **ეთნიკური ნაციონალიზმის ხედვებს იზიარებს.** მათთვის ერი არის ბიოლოგიური, გენეტიკური კატეგორია და არსებობს ოდითგანვე.

საპირისპირო მოსაზრების სადემონსტრაციოდ მოვიყვანოთ ზაზა შათირიშვილის პოზიცია, რომელიც ემთხვევა მოდერნისტული და ეთნოსიმბოლისტური პოზიციის მკვლევრების (ბენედიქტ ანდერსონი, ენტონი სმითი, ერნესტ გელნერი, ერნესტ რენანი და სხვ.) შეხედულებებს. ნაციონალიზმი საქართველოში - მიიჩნევს ზაზა შათირიშვილი - XVIII საუკუნის ბოლოს, XIX საუკუნის დასაწყისში ისახება და შემდეგ ვრცელდება. ქართული ნაციონალიზმი არ არის შუა საუკუნეების ქართული სამეფოს გაგრძელება. ერთია სამეფო, თავისი იერარქიულობით და სულ სხვა რამაა ნაციონალიზმი. **ნაცია გულისხმობს ეგალიტარიზმს,** თანასწორობას. მაშინ, როდესაც ის, რაც არის ნაციამდე – სამეფო, პრინციპულად სხვანაირია, – ის იერარქიულია და ლეგი-

ტიმურობის სულ სხვა წესი აქვს. ზაზა შათირიშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომელსაც სრულიად ვეთანხმები: საფრანგეთის რევოლუციის შედეგად მეფისთვის თავის მოკვეთას დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. სწორედ მოჭრილი თავის ადგილას ჯდება ნაცია, რომელიც ახალ წესებს ნერგავს, რომელთა წინაშეც ყველა უნდა იყოს თანასწორი, აღარ არსებობს დინასტია, იერარქია, აღარ არსებობს არისტოკრატიის პრივილეგიები.

ნაციონალიზმის მთავარი მიზანი ყველგან და ყოველთვის იყო ერი-სახელმწიფოს შექმნა, სწორედ საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების შემდეგ იწყება იმპერიების და ტრადიციული სახელმწიფოების მოშლისა და ერი-სახელმწიფოს შექმნის პროცესი, რომელიც საბოლოოდ 1918 წელს დასრულდა, როდესაც ევროპის კონტინენტზე ტრადიციული იმპერიები გაქრა და ჩამოყალიბდა **ერი-სახელმწიფოები.** [16]

საფრანგეთის რევოლუციის შედეგად მეფისთვის თავის მოკვეთას დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. სწორედ მოჭრილი თავის ადგილას ჯდება ნაცია, რომელიც ახალ წესებს ნერგავს, რომელთა წინაშეც ყველა უნდა იყოს თანასწორი, აღარ არსებობს დინასტია, იერარქია, აღარ არსებობს არისტოკრატიის პრივილეგიები.

ქრისტიანობა, რომელიც შუა საუკუნეებში იდენტობის მატარებელი იყო, როგორც რელიგია, არ ცნობს ვიწროეთნიკურ ნაციონალიზმს. ნაციონალიზმი სრულიად მიუღებელი დოქტრინაა ქრისტიანობისათვის. პავლე მოციქულის მთელი მოღვაწეობა სწორედ იმას მიეძღვნა, რომ ქრისტიანობა გაეტანა ისრაელის ფარგლებს გარეთ. ეთნიკური ნაციონალიზმი სწორედაც რომ ბურჟუაზიული ფრანგული რევოლუციის მემკვიდრეობაა. სწორედ ფრანგული რევოლუციის მერე დაიწყეს ადამიანების განსჯა საკუთარი ეთნიკური კუთვნილების მიხედვით და დააარსეს ეთნოლი-

ნგვისტური რესპუბლიკები. ნაციზმიც ამ მოდერნული ლიბერალიზმის ერთი უშნო გამოვლინება იყო.[17]

ნუკრი შოშიაშვილი სახელმწიფოებს ყოფს პირობითად ორ ნაწილად: **ტრადიციულ და ნაციონალურ სახელმწიფოებად.** იშვიათი გამონაკლისების გარდა, **ტრადიციული სახელმწიფო** ყოველთვის პოლიეთნიკურია, მასში არსებობს დომინანტი და პერიფერიული ეთნოსები და ძირითადი დაპირისპირება ასეთი ტიპის ქვეყნებში რელიგიური შინაარსისაა. ტრადიციული სახელმწიფოს მწვერვალი არის იმპერია. XIX საუკუნემდე, კერძოდ, 1806 წლამდე, ტერმინი „იმპერია“ არ ნიშნავდა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დაპყრობას. იმპერია იყო ზენაციონალური სახელმწიფო, რომელიც სამყაროს უნივერსალურ პოლიტიკურ წესრიგს გამოხატავდა და მისი ნიმუში იყო რომის იმპერია. ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანებს ჰქონდათ მკაფიო წარმოდგენები საკუთარ იდენტობაზე, მათ არ სჭირდებოდათ წარმოსახვითი იდენტობების შექმნა.

ნაციონალური სახელმწიფოს მთავარი განმასხვავებელი ტრადიციული სახელმწიფოსგან, ენტონი სმითის აზრით, არის ის, რომ მაღალი კულტურა საყოველთაო ხდება. სახელმწიფო მოქალაქეებისთვის ადგენს კულტურულ, საგანმანათლებლო და ენობრივ აუცილებლობებს. ნაციონალურ სახელმწიფოში ჩნდება მოსახლეობის, ადამიანის ტოტალური გარდაქმნის სურვილი და ვალდებულება, რომელსაც თავის თავზე იღებს სახელმწიფო. ასეთი ვალდებულება ტრადიციულ სახელმწიფოს არა აქვს, ტრადიციული სახელმწიფო კმაყოფილდება ადამიანის ლოიალობით სუვერენისადმი, ხოლო მისი კულტურული იდენტობა ისტორიული პროცესების შედეგია და არა სახელმწიფოს

მერვე მსმენელისშვილი ვლინიშნავდა იდეოლოგიებზე, რომ ყველა იდეოლოგიის მიზანია ერთი ცის ვლამიანის შექმნა - „ყარგი მოკალოჯის„, „ყარგი ყომუნიცის„, „ყარგი ოკაშინცის„ და ა.შ.

აქტიური ჩარევისა. ასე რომ, პირველი იდეოლოგიური პროექტი, რომლითაც ადამიანების ტოტალური შეცვლა დაიწყო, იყო ნაციონალური სახელმწიფო.

მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავდა იდეოლოგიებზე, რომ ყველა იდეოლოგიის მიზანია ერთი ტიპის ადამიანის შექმნა - „კარგი მოქალაქის“, „კარგი კომუნისტის“, „კარგი ფაშისტის“ და ა.შ.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას ტრადიციულ სახელმწიფოსა და ნაციონალურ სახელმწიფოს შორის ირაკლი ჩხეიძე ხედავს იმაში, რომ ერი და სახელმწიფო სინონიმები ხდება. ტრადიციულ სახელმწიფოში სახელმწიფო და ერი (ეთნოსი) ნაწილობრივ ან საერთოდ არ არის იდენტური ცნებები. ნაციონალური სახელმწიფო, თუ ის ჭეშმარიტად ნაციონალურია, ცდილობს ერთი პოლიტიკური იდენტობის შექმნას, ამიტომ ყველანაირი ნაციონალური სახელმწიფო არის ასიმილაციური პოლიტიკის გამტარებელი, რომელიც ასიმილაციის და ეთნიკური იდენტობის დანგრევის გარეშე ვერ ყალიბდება...[18]

გიგა ზედანიას მიაჩნია, რომ დაყოფა ეთნიკურ და სამოქალაქო ნაციებად არც ზუსტია და არც უპრობლემო. მისი აზრით, უფრო პროდუქტიულია გერმანელი ავტორის ფრიდრიხ მაინეკეს პოზიცია, რომელიც განასხვავებს სახელმწიფოს ნაციებსა და კულტურის ნაციებს. თუ საქართველოში ნაციონალიზმი რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შიგნით ჩამოყალიბდა, მაშინ გასაგებია, რატომ იქცა **ენა, კულტურა და რელიგია იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებად.** პოლიტიკური ფაქტორის წინ წამოწევა ამ ვითარებაში რთული იყო. სამოქალაქო ნაციონალიზმის დასაყრდენი ინსტიტუტი კი უკვე სახელმწიფოა. ამ იდეოლოგიის დანერგვა, გიგა ზედანიას აზრით, 2003 წლიდან დაიწყო. აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმიც პრობლემურია. თუ ეთნიკური ნაციონალიზმი სხვა ერებს რიყავს „ტიტულარული ნაციის“ რიგებიდან, სამოქალაქო ნაციონალიზმი უმცირესობებისგან მოითხოვს ინტეგრაციას, მათ შორის - კულტურულს. ის ვერ კმაყოფილდება იდენტობის

მხოლოდ პოლიტიკური განზომილებით და შემოაქვს კულტურული ფაქტორი. ეს ახლოსაა ასიმილაციის პოლიტიკასთან.

ნებისმიერი ნაციონალიზმი კულტურულია, მაგრამ ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში იგი პოლიტიკურ განზომილებას იძენს და ჩნდება ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის ცნებები.

ეთნიკური ნაციონალიზმი არის კულტურული ნაციონალიზმი.

სამოქალაქო ნაციონალიზმი სახელმწიფო ნაციონალიზმია.

რაც უფრო ძლიერი იქნება სახელმწიფო ინსტიტუტები, მით უფრო გაძლიერდება სახელმწიფო (სამოქალაქო) ნაციონალიზმი.

სახელმწიფოს სიძლიერე დიდი დოზით ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობაში გამოიხატება. გიგა ზედანიას აზრით, ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის პოზიციების სიძლიერის შედარებისთვის კარგი საზომი არსებობს: კვლევის ჩატარება და დადგენა - მოსახლეობის რამდენი პროცენტი ამაყობს ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტებით და რამდენი - ეროვნული ტრადიციებით...

რაც შეეხება სახელმწიფოს გაძლიერებას, როგორც სამოქალაქო ნაციონალიზმის პოზიციების გაძლიერების საფუძველს, მინდა დავეთანხმო გიგა ზედანიას მოსაზრებას, რომ მხოლოდ სახელმწიფოს გაძლიერებით ჩვენ ვერ მივიღებთ მოდერნულ საზოგადოებას. სახელმწიფოს თავად არ შეუძლია იმ ღირებულებების გენერირება, რომლებსაც დემოკრატიული განვითარება უნდა დაემყაროს, საჭიროა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც მას ამ ღირებულებებს თავს მოახვევს.[19]

გიგა ზედანიას პოზიციის მსგავსად, გია ნოდიას მიაჩნია, რომ დიქოტომია ეთნიკური - სამოქალაქო ნაციონალიზი, მეტნაკლებად პირობითია. ერი არ არის რაიმე რაციონალური პრინციპებით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი. ერს აერთიანებს, ერთი მხრივ, ეთნიკური საფუძველი (ენა, კულტურა, წარმოდგენები საერთო წარმოშობაზე), მეორე მხრივ კი, საერთო პოლიტიკური ორგანიზაციის (სახელმწიფოს) შექმნისა და შენარჩუნების ნება. მისი აზრით, ეთნიკური საფუძვლის და ნების კონსტრუირება რაციო-

ნალურ პრინციპებზე დაყრდნობით შეუძლებელია. პოლიტიკური ორგანიზაციის (სახელმწიფოს) შექმნისა და შენარჩუნების ნება თავის გამოხატულებას, ჩვეულებრივ, კონსტიტუციაში ახდენს. არანაირ სხვა რაციონალურ კონსტრუქციას არ შეიძლება ჰქონდეს ერის, როგორც მთლიანობის, წარმოდგენის ფუნქცია. ნებისმიერი სხვა „ეროვნული იდეოლოგია“ იქნება რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ინტელექტუალური მიმდინარეობის მიერ საერთო საზროვნო სივრცის უზურპაციის მცდელობა. [20]

ერის რაობის გაგებაში ასევე არსებობს შემდეგი ორი მიდგომა:

1. **ერები, რომლებიც წარმოიშვნენ უშუალოდ მოდერნიზაციის პროცესის შედეგად,** ასე ვთქვათ, ბუნებრივად;
2. **ერები, რომლებიც წარმოიშვნენ ერის იდეის მიღების და ნაციონალიზმის პოლიტიკის საფუძველზე.** ამ მიდგომისას მნიშვნელობა ენიჭება ერის იდეას, ნარატივს ეროვნულ რაობაზე, რომელსაც ერის კულტურული და პოლიტიკური ელიტა ქმნის და ამისათვის ახდენს წარსულის ერთგვარ კონსტრუირებას (ფაქტების სელექცია, მათი ინტერპრეტაცია, რეინტერპრეტაცია და სხვ.).

მერაბ მამარდაშვილი წერდა ინტერპრეტაციებზე: „წარსული არის ყველაზე დიდი საშინელება, რაც კი გაგვაჩნია, რა უნდა ვუყოთ მას - ეს ყველაზე დიდი პრობლემაა“.[21]

ამის მიზეზი ის არის, რომ წარსული ძალიან არაპროგნოზირებადი ხდება ხოლმე... წარსული საოცრად პლასტიკური და დამყოლი ფენომენია, იგი იოლად იქცევა ილუზიებისა და ფსევდოაბსტრაქციების წყაროდ, საოცრად იოლად ექვემდებარება მანიპულაციებს აწმყოთი სასოწარკვეთილი საზოგადოების მხრიდან, წერს ზაზა ფირალიშვილი. [22]

ერის ნაციონალური იდეის საფუძველზე ჩამოყალიბება მიმართულია ისტორიის მითოლოგიური ნარატივის შექმნისაკენ (ჰეროიკულის, რომანტიზებულის, ნოსტალგიურის). წარსულზე დამოკიდებულების (path dependency) ფენომენი, წარსულის კონცეპტი ქმნის აწმყოსა და მომავლის კონცეპტებს. ჯორჯ ორუელს

მიაჩნდა, რომ ის, ვინც მართავს წარსულს, მართავს მომავალსაც, მაგრამ წარსულს მართავს აწმყო...

დანარჩენი სამყაროს მსგავსად, საქართველოშიც შეინიშნება თვითიდენტიფიკაციის კრიზისი. არ არსებობს მკაფიო პასუხები შეკითხვებზე: *რას ნიშნავს ქართველი ერი, ქართველი ხალხი, თვით ქართველი. რამდენად ძზად არის საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ელიტა თანამედროვე სახელმწიფოს იდეის პროდუცირებისა და განხორციელებისათვის?* იდენტობის კონცეპტის შექმნისთვის გამოიყენება განათლების სისტემა და მასმედია, როდესაც შესაბამისი იდეოლოგია გადაიქცევა საყოველთაო პროდუქტად, რომელსაც ასწავლიან სკოლაში და აზიარებენ ტელევიზიებით. რამდენად პროდუქტიულია ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ელიტა ამ თვალსაზრისით?

ქართველი ერი მოდერნული ეპოქის პროდუქტია, ის არის ქართული ნაციონალიზმის (მე-19 საუკუნე) შედეგი. ამავე დროს მას ღრმა ეთნიკური ფესვები აქვს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულმა კულტურულმა ელიტამ დაიწყო ზრუნვა ეთნოკულტურულ თვითიდენტიფიკაციაზე, რაშიც დიდი როლი ითამაშეს ილიამ და ჟურნალმა „ივერიამ“ (1877-1906). ამოცანა იყო ქართული ერთობის მოქალაქეობრივი ნაციონალიზმის რელსებზე გადაყვანა და ამ ერთობის კონცეპტუალიზაცია. შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ ამ კონცეპტუალიზაციის მთავარი შემოქმედის, პრაქტიკულად ახალი ქართული ისტორიული თხრობის შემქმნელის, ილია ჭავჭავაძის პოზიციებს. ასევე, შევეხებით ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის მნიშვნელობას ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებაში.

ილია ჭავჭავაძე - ერის მოქალაქეობრივი თუ ეთნიკური გაგება? ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის მნიშვნელობა

როგორ წარმოუდგენია ილიას ქართველი ერი: მოქალაქეობრივად თუ ეთნიკურად?

ერთი მხრივ, ის ერს მოიაზრებდა ნაციონალიზმის ფარგლებში, როგორც პოლიტიკურ ერთობას, მეორე მხრივ კი, ეთნიკური ნაციონალიზმის ფარგლებში, როგორც განუყოფელ მთლიანობას, სულისა და ზნეობის მქონე ცოცხალ არსებას, როდესაც ქართველად ყოფნა მხოლოდ დაბადებით იყო შესაძლებელი. მის ამგვარ პოზიციას მეტწილად პოლიტიკურ-კულტურული კონტექსტი განაპირობებდა. [23] ილია იზიარებდა ერნესტ რენანის ხედვას, რომელიც ფართოდ შუქდებოდა გამომცემლობა „ივერიის“ მიერ. **ნაციის წარმოშობისათვის ერნესტ რენანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას კოლექტიურ მეხსიერებას ანიჭებდა.** ერის ერთად ყოფნის საფუძველს, ერნესტ რენანის აზრით, წარმოადგენს კოლექტივის მნემონიკური აქტივობა: დავიწყება იმისა, რაც ხელს უშლის ერთობას, და ყოველივე იმის ხსოვნა, რაც ხელს უწყობს ერთიანობას (საერთო სიხარული, გამარჯვება, ასევე, მწუხარება და დამარცხება). ერნესტ რენანს ერი მიაჩნდა პოლიტიკურ და, ამავე დროს, მორალურ ერთობად. ერი მისთვის „ფრანგული“ იდეაა. მაშინ, როცა ნაციონალისტთა უმეტესობა ერს ობიექტივისტური კატეგორიებით განსაზღვრავდა, რენანმა ერი ინდივიდთა სურვილით შექმნილ ერთობად გამოაცხადა (1882 წ.).

მოვიყვანოთ ამონარიდი ილია ჭავჭავაძის წერილიდან **„ოსმალოს საქართველო“:** „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორი-

ისა.[24] ამოცანა, რომელიც ილია ჭავჭავაძის წინაშე იდგა, ქართული კულტურული მეხსიერების არა მხოლოდ კორექცია, არამედ, ფაქტობრივად, მის ხელახლა შექმნას საჭიროებდა. ამ ამოცანის გადაჭრას ილია შეეცადა სიტყვა „მამულის“ კონცეპტუალიზაციით. ქართული ეროვნული დისკურსი „მამულის“ კონცეპტს ეყრდნობა. მისი მეშვეობით კონკრეტული გეოგრაფია სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, რაც, საბოლოო ჯამში, კულტურულ იდენტიფიკაციას აყალიბებს. კულტურულ მეხსიერებას თანამედროვე თეორეტიკოსი იან ასმანი ასე განსაზღვრავს: „ყოველი საზოგადოებისა და ეპოქისათვის კვლავგამოყენებადი ტექსტების, ხატებისა და ადათ-წესების შემადგენლობა, უკეთეს შემთხვევაში, თუმცა არა აუცილებლად, არის კოლექტიურად გაზიარებული ცოდნა წარსულის შესახებ, რომელსაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ერთიანობისა და განსხვავებულობის ცნობიერება ემყარება“. უნდა ითქვას, რომ ილიას ნაციონალური პროექტის ერთგვარი ორმაგობა განაპირობებდა მისი პოზიციის ღიაობას, როგორც იდეოლოგიური ინტერპრეტაციების, ასევე ამა თუ იმ იდეოლოგიების მხრიდან მისი მითვისებისათვის. [25]

როგორც უკვე გავარკვიეთ, ერის იდეას აყალიბებს ნაციონალიზმი, ნაციონალური იდეოლოგია, რომლის სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია ნაციონალიზმის ეთნიკური (ექსკლუზიური) და სამოქალაქო (ინკლუზიური) გაგება. ზოგიერთი მკვლევარი ნაციონალიზმს ხელოვნურ პროექტად მიიჩნევს, რომლის ფუნქცია და შინაარსი განპირობებულია გაბატონებული პოლიტიკური ელიტის მიზნებით. თუ მისი მიზანია ეთნიკური ნაციონალიზმის გაღვივება, მაშინ წინა პლანზე გამოდის ერის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა საერთო წარმომავლობა, ავტოქტონობა, სისხლისმიერი ნათესაობა და ასე შემდეგ. თუ მიზანია მრავალეთნიკური საზოგადოების ფორმირება და სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბება, მაშინ პრიორიტეტული ხდება ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მოქალაქეობა, სახელმწიფოსადმი ლოიალურობა და სხვა ნებაზე და თავისუფალ არჩევანზე დამოკიდებული ელემენტები. [26]

პოლიტიკური ხელისუფლების (ელიტის) ხედვებსა და მიზნებზე და, შესაბამისად, ნაციონალიზმის პროექტის რაობაზე დიდ გავლენას ახდენს კონკრეტული ისტორიული კონტექსტი, მოვლენების განვითარების დინამიკა, პოლიტიკური კონიუნქტურა და სხვ. ასეთ ისტორიულ დინამიკურ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის დაშლის წინა და შემდგომი რამდენიმე წელი, როცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ურთულესმა ამოცანამ ხელი შეუწყო საზოგადოებაში განწყობების რადიკალიზაციას და ეთნიკური ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას. ერნესტ გელნერს მიაჩნდა, რომ ერის პროექტი და იდეა შემთხვევითობაა, რომელიც შესაბამის დროსა და ვითარებაში ყალიბდება. სწორედ ასეთმა შემთხვევითობამ, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა ქართული ნაციონალიზმის თავისებურებანი. [27]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური და კულტურული ელიტა სათანადოდ ვერ აცნობიერებდა და, შესაბამისად, ვერ შეჯერდა იმაზე, თუ რა იდენტობაზე უნდა აგვეშენებინა მომავალი ქართული პროექტი, რომლის რამდენიმე ნარატივი შეიქმნა:

1. ქართველი = „მაშასადამე ევროპელი“ (ევროპული, სამოქალაქო ნარატივი);
2. ქართველი = მართლმადიდებელი (მართლმადიდებლური ნარატივი);
3. ქართველი არის ის, ვინც სისხლით ქართველია (ეთნიკური ნარატივი).

ნუკრი შოშიაშვილის აზრით, ეს სამი ძირითადი ნარატივი, რომელიც თანაარსებობდა და თანაარსებობს დღესაც, არის პოსტკოლონიალური სინდრომის შედეგი და გამოვლინება. სამივე მათგანის საფუძველი კოლონიალური წარსულისგან გათავისუფლების სურვილში უნდა ვეძიოთ. პირველ რიგში, სამივე ამ ნარატივს აქვს რაღაცასთან მიმართება. სამივე აპელირებს ქვეყნის გადარჩენაზე. მაგალითად:

1. **ევროპული ნარატივი** მთლიანად რუსულ ფაქტორზეა აგებული. ჩვენი არჩევანი ევროპაა იმდენად, რამდენადაც ჩვენი არჩევანი არ არის რუსეთი, რუსული კულტურა და ა.შ.
2. **მართლმადიდებლური ნარატივი** მიმართულია ქართული სულიერების დასაცავად გარე ზეგავლენებისგან, გარყვნისაგან და ა.შ.
3. **ეთნიკური ნარატივი** სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობებს განიხილავს, როგორც სხვადასხვა იმპერიის პროექტებს საქართველოს წინააღმდეგ და აპრიორი წარმოაჩენს მათ უდიდეს საფრთხედ.

„სამივე ეს ნარატივი გარკვეული „ისტორიული სამართლიანობის“ პოზიციებიდან საუბრობს, მაგრამ საფუძველი, რომელიც უდევს ამ ნარატივებს მდგომარეობს იმაში, რომ აშკარად გამოკვეთილ ისტორიულ უკმაყოფილებასთან გვაქვს საქმე, მცდელობასთან რომ ისტორია იყოს გადალახული და ხელახლა დაწერილი“. [28]

მერაბ მამარდაშვილი წერს ქართულ მენტალობასთან მიმართებაში: „ის, რომ ჩვენ ვერასდროს ვიზრდებით, უბრალოდ, ზრდის პრობლემაა. ეს პრობლემა იმისდა მიხედვით აშკარავდება, ვბრაზდებით სამყაროზე თუ არა. ბავშვის სამყაროა ასეთი. ბავშვი ხომ სამყაროს თავისებურად აღიქვამს: სამყარო მას ან ეფერება, ან აბრაზებს. როგორები არიან ზრდასრულები? გაიხედეთ გარშემო და დააკვირდით საზოგადოებას. ის სავსეა, ასე ვთქვათ, ბავშვობაში გაჭედილი ზრდასრულებით. მათ თავი სამყაროს ცენტრში წარმოუდგენიათ და დღენიადაგ ეჭვიანობენ, რომ ეს სამყაროში ხდება ყველაფერი მათ საწინააღმდეგოდ და არა თავად მათში. ზრდასრულობა რაში გამოიხატება? ამაზე თავის დროზე ერთმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა თქვა: ”ზრდასრული ხარ, როცა იცი, რომ სამყაროს არ გააჩნია შენს მიმართ განზრახვები”, ეს უკვე ზრდასრულის აღქმაა”. [29]

აქვე გავაგრძელებ ნუკრი შოშიაშვილის მოსაზრებას. ის წერს, რომ 1998 წელს გამოცემულ XI კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, **„XIX-XX საუკუნის ისტორია, ესაა ქართველი ხალხის ბრძოლის**

ისტორია რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ“. 1987 წელს გამოცემულ იმავე კლასის სახელმძღვანელოში ეწერა, რომ **„XIX საუკუნის ქართველი ხალხის ისტორია, ესაა კლასთა ბრძოლის ისტორია“**. ცოტა მოგვიანებით, უკვე 2005 წელს ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ მიზნად ჩაიწერება **„ისტორიის შესწავლის მიზანია ლიბერალური ფასეულობების ჩამოყალიბება მოზარდში“.**

ნარატივების მუდმივი ცვლის მიზეზი, მისი აზრით, როგორც წესი, ელიტების ცვლილებით აიხსნება, რომლებიც სხვადასხვა ნარატივის შემქმნელები და მატარებლები არიან. [30]

ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიები
კლასიკური ტექსტები

ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიები შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ (ნაციონალიზმის თეორიების სწორედ ამგვარ კლასიფიკაციას გვთავაზობს, მაგალითად, ენტონი სმითი):

პირველი ჯგუფი: პრიმორდიალისტური და სოციობიოლოგიური თეორიები, რომელთა მიხედვით ნაციონალური იდენტობა ოდითგან განსაზღვრული მოცემულობაა. პრიმორდიალური იდენტობა დამყარებულია გრძნობებსა და ემოციებზე, რომლებიც ინდივიდს დაბადებიდანვე დაჰყვება თან. ჩვენ შეგვიძლია, ასეთ მიდგომას „ღელეღურდანული ნაციონალიზმი“ ვუწოდოთ.

გოეთე წერს: „ყოველი ადამიანი თავის ხალხში იბადება და მის სულს მიეკუთვნება. ყოველი ინდივიდუმი, რამდენადაც ის თავის ხალხთან სულიერად არის დაკავშირებული, დაბადებიდანვე ითვისებს თავისი მამების რწმენას, ყოველგვარი მისი ბრალეულობისა თუ დამსახურების გარეშე“. [31]

მიუხედავად იმისა, რომ პრიმორდიალისტური თეორია არ მიეკუთვნება მეინსტრიმულ ხაზს ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიებში, ვიტყოდი, რომ ის ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და შეიძლება გარკვეული აღორძინებაც კი განიცადოს, მითუმეტეს, დასავლეთსა და მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე.

მეორე ჯგუფი: ინსტრუმენტალისტური თეორიები - ეროვნულობა და ეთნიკურობა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების შედეგია. ინდივიდები ფლობენ გარკვეულ თავისუფლებას, რაც იმას განაპირობებს, რომ მათ შეუძლიათ, თავი სასურველ ნაციას მიაკუთვნონ. ისინი არ არიან მიჯაჭვულნი რომელიმე ერთ კონკრეტულ ერთობას, მათ შეუძლიათ შეცვალონ ნაციონალური იდენტობა, ან იყონ ერთზე მეტი ერთობის წევრი.

პრიმორდიალისტურ, ნაციის ეთნიკურ კონცეფციაში ინდივიდი ამ შესაძლებლობას მოკლებულია.

მესამე ჯგუფი: მოდერნისტული თეორიები, რომლებიც შეიძლება მეინსტრიმულ თეორიებად განვიხილოთ. მათ ნაირსახეობას **ეთნოსიმბოლისტური თეორია** წარმოადგენს. ორივე თეორიის მიხედვით ერებიც და ნაციონალიზმიც მოდერნული ფენომენებია.

მეორე და მესამე ჯგუფის თეორიებს შეგვიძლია, მთლიანობაში კონსტრუქტივისტული თეორიები ვუწოდოთ. ერის აღმოცენებას საბოლოო ჯამში ელიტები უზრუნველყოფენ, ისინი ახდენენ ერის, როგორც ფენომენის კონსტრუირებას.

ჰანს კონი თავის ნაშრომში: „ნაციონალიზმის იდეა: მისი წარმოშობისა და საფუძვლების კვლევა“ (1944) წერს, რომ დასავლეთში ნაციონალიზმი დაფუძნებული იყო იდეაზე, რომ ნაცია, ერი წარმოადგენს მოქალაქეთა რაციონალურ ასოციაციას, საერთო კანონებითა და ტერიტორიით. არადასავლური ნაციონალიზმი კი, მისი აზრით, წინ წამოსწევს საერთო კულტურას და ეთნიკურ წარმომავლობას, როდესაც ნაცია განიხილება, როგორც ურღვევი, ორგანული, ინდივიდებზე მაღლა მდგომი ორგანიზმი, რომელიც დაბადებიდან დაგყვება და ნაციონალურ დაღს გასვამს.

ენტონი სმითისთვის ასეთი დაყოფა პირობითია. მას მოჰყავს საფრანგეთში სამოქალაქო ნაციონალიზმის თავისებურება, სადაც მოქალაქეობა ნიშნავდა ფრანგული ენის შესწავლას, ფრანგულ ენაზე საქმის წარმოებას, საფრანგეთის ისტორიისა და ფრანგული ლიტერატურის შესწავლას, ფრანგული ტრადიციების დაცვას, ფრანგული სიმბოლოებისა და ინსტიტუციების აღიარებას. ნიშანდობლივია ამ მხრივ 1790 წელს საფრანგეთის ასამბლეაზე ვინმე კლერმონტონის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ებრაელს, როგორც ინდივიდს, ჩვენ ვაძლევთ ყველაფერს, ებრაელს, როგორც ებრაელს - არაფერს“. ნამდვილი მულტიკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბების მცდელობას (ტენდენციებს), ჩვენ ვხედავთ მხოლოდ 60-იანი წლების შემდგომ ამერიკაში, რომელმაც უარი თქვა ცნობილ „სადნობი ღუმელის“ იდეოლოგიაზე.[32] თუმცა ძნელია არ დაინახო, რომ **აშშ-ს საზოგადოების სულისკვეთება და ცხოვრების წესი პროტესტანტული ინგლისის საფუძველ-**

ზეა აღმოცენებული. აქვე აუცილებელ ხაზგასმას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ამერიკელებს დღემდე მხოლოდ ერთი კათოლიკე პრეზიდენტი ჰყავდათ, ჯონ კენედი (და ისიც მოკლეს...).

მიუხედად თავისი პირობითობისა, დიქოტომია - ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმი, ინარჩუნებს თავის ვალიდურობას.

მოკლედ მიმოვიხილოთ ნაციონალიზმის კლასიკური თეორიები. ამ დარგის აღიარებული წარმომადგენლები - ერნესტ რენანი, ბენედიქტ ანდერსონი, ერნესტ გელნერი, ენტონი სმითი, ერიკ ჰობსბაუმი - თავიანთ ნაშრომებში ძირითადად მე-18-19 საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებს აღწერენ, ერებისა და ნაციონალიზმის ფორმირების ეპოქას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ერის ახალი და, როგორც აღმოჩნდა, პარადიგმული განმარტება ერნესტ რენანს ეკუთვნის. მისთვის ერი არის გონებრივი არსება... მისი შექმნისათვის არ კმარა არც რასა, არც ენა, არც საზოგადო ინტერესი, არც სარწმუნოება, არც გეოგრაფია... ერი არის სული, გონებრივი არსება, რომელიც შედგება წარსულისა და აწმყოსგან. არის თანხმობა, სურვილი ერთად ცხოვრებისა და ქვეყნის გაძლიერებისა. არის საერთო ნებისყოფა აწმყოში.

ბენედიქტ ანდერსონი და მისი ცნობილი ნაშრომი - „წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ“. ამ ნაშრომმა საფუძველი დაუდო ნაციონალიზმის მოდერნისტულ კონცეფციას. ერი არის ახალი ფენომენი, რომელიც ევროპაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ იწყებს ჩამოყალიბებას. ერი არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება. ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენი ერის წარმომადგენლების უმეტესობას, თუმცა მათ ერთობად აღვიქვამთ. ნაციონალიზმი ქმნის საფუძველს პოლიტიკური მიზნებისა და მოძრაობებისათვის. აუცილებელია, არსებობდეს ნაციონალისტურად განწყობილი ელიტა, ძირითადად ახალგაზრდები, რომლებმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს. ბენედიქტ ანდერსონი მათ პილიგრიმებს უწოდებს. მისი აზრით, სწორედ ასე ღვივდებოდა

იმპერიებში ნაციონალიზმი. აქ ვერ გავექცევით ასოციაციას „თერგდალეულებთან“ და მათ მიერ ჩამოყალიბებულ „ეროვნულ პროექტთან“. ეს პროექტი წარმოადგენდა სრულიად ახალ ხედვას, კონცეფციას, რომლის მიხედვით, სწორედ ნაციონალური იდენტობა უნდა გამხდარიყო ლოიალურობის უმთავრესი წყარო, უფრო ძლიერი, ვიდრე რელიგიური, რეგიონული თუ სხვა სახის იდენტობები. [33]

ასოციაციებს თერგდალეულებთან იწვევს ასევე ნაციონალიზმის კიდევ ერთი თანამედროვე მკვლევრის, მიროსლავ ჰროშის (Miroslav Hroch) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იმპერიულ სივრცეში ნაციონალიზმი გაივლის შემდეგ ეტაპებს:

1. კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა - ენის რეფორმა, ეროვნული ისტორიის, ახალი ეროვნული ნარაციის შექმნა და მისი როლის გაძლიერება;
2. ელიტის მიერ ჩამოყალიბებული პროექტის ხალხამდე მიტანა სასწავლო დაწესებულებების, სკოლების და პრესის საშუალებით;
3. საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია.
4. თერგდალეულთა მოღვაწეობა სწორედ ამ ეტაპების მსგავსად ვითარდებოდა. [34]

ერნესტ გელნერი თავ**ის ცნობილ ნაშრომში „ერები და ნაციონალიზმი“** ხაზს უსვამს კულტურის მნიშვნელობას ნაციონალიზმის ფორმირებაში. ნაციონალიზმის წარმოშობას ის ინდუსტრიულ (პოსტაგრარულ) პერიოდს უკავშირებს. მისი ერთ-ერთი მთავარი მოსაზრების მიხედვით, ეროვნული და პოლიტიკური საზღვრები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. ნაციონალიზმის მიზანია სუვერენული პოლიტიკური ერთეულის შექმნა. გელნერის აზრით, ეროვნების ქონა არ არის კაცობრიობის თანდაყოლილი ატრიბუტი, იგი მხოლოდ ახლა ჩანს ასეთად. არსობრივად, ერები, ისევე როგორც სახელმწიფოები, შემთხვევითობაა და არა უნივერსალური აუცილებლობა. არც ერები არსებობდნენ ყოველთვის, ყველა გარე-

მოში და არც სახელმწიფოები. ნაციონალიზმს არა აქვს გადგმული ღრმად ფესვები ადამიანის ცნობიერებაში. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ადამიანის ცნობიერება დიდხანს რჩებოდა უცვლელად, მრავალი ათასწლეულის მანძილზე და ის უკეთესი ან უარესი არ გამხდარა ნაციონალიზმის შედარებით მოკლე ახალ ხანაში.

ერნესტ გელნერის აზრით, არსებობს ერის ორი პირობითი განსაზღვრება, კულტურული და ვოლუნტარისტული. კულტურული განსაზღვრების მიხედვით ორი ადამიანი ერთი ერის წარმომადგენელი მხოლოდ მაშინაა, როცა ორივე ერთი და იმავე კულტურის წარმომადგენელია (კულტურას ის განიხილავს, როგორც იდეების, ნიშნების, ასოციაციების, ქცევის წესების და კომუნიკაციების სისტემას). ვოლუნტარისტული განსაზღვრების მიხედვით, ორი ადამიანი ერთი და იმავე ერის წარმომადგენელი მხოლოდ მაშინაა, თუ ისინი ერთმანეთის ერთი ერისადმი მიკუთვნებულობას აღიარებენ. სხვა სიტყვებით: ერმა შექმნა ადამიანი; ერები არიან ადამიანების რწმენის, ლოიალურობისა და სოლიდარობის პროდუქტები. რომელიმე მოცემული ტერიტორიის მოსახლეობა, ან მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კატეგორია ერად იქცევა მაშინ, თუ ამ კატეგორიის წევრები მათ საერთო წევრობაზე დამყარებით მტკიცედ აღიარებენ გარკვეულ ორმხრივ უფლებებს და მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ. სწორედ ერთმანეთის ერთი რამის მიმდევრებად ცნობა აქცევს მათ ერად და არა სხვა საერთო ატრიბუტები (როგორიც არ უნდა იყოს ისინი).

ნაციონალიზმი არ არის ძველი, ლატენტური, მიძინებული ძალების გაღვიძება, მიუხედავად იმისა, რომ ის თავს ასეთად წარმოგვიდგენს. რეალურად ის სოციალური ორგანიზაციის ახალი ფორმის შედეგია, რომელიც კარგად გააზრებულ, განათლებაზე დამოკიდებულ მაღალ კულტურაზეა დაფუძნებული, ისეთზე, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო იცავს. იგი ადრე არსებულ ზოგიერთ კულტურას იყენებს და გამოყენების პროცესში თანდათან გარდაქმნის.

ნაციონალიზმი საკუთარ თავს კაცობრიობის პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივ და უნივერსალურ მომწესრიგებლად აღიქ-

ვამს. ჰეგელი ამ ხედვას შემდეგნაირად აღწერს: „ეროვნებებს ჰქონდათ გრძელი ისტორია, სანამ ისინი საბოლოოდ თავიანთ დანიშნულებას – საკუთარი თავების სახელმწიფოებად ქცევას – მიაგნებდნენ“. ეს წინარესახელმწიფოებრივი პერიოდი რეალურად „პრეისტორიულია“. ჰეგელისთვის ერების ნამდვილი ისტორია მხოლოდ მათ მიერ სახელმწიფოებრიობის მიღწევით იწყება.

ნაციონალიზმი არ არის მითური, ბუნებრივად მოცემული ერთეულების გაღვიძება და დამკვიდრება. პირიქით, ის ჩვენს დროში გაბატონებული პირობების შესაბამისი ახალი ერთეულების ფორმირებაა, რომელიც მასალად პრენაციონალისტური სამყაროდან აღებულ კულტურულ, ისტორიულ თუ სხვა სახის დანატოვარს იყენებს. ახალი სოციალური პირობები მოითხოვს სტანდარტიზებულ, ერთგვაროვან, ცენტრალურად დაცულ მაღალ კულტურას, რომელიც მოიცავს მთელ საზოგადოებას და არა მხოლოდ ელიტარულ უმცირესობას. იქმნება სიტუაცია, სადაც კარგად განსაზღვრული, განათლებით სანქცირებული და გაერთიანებული კულტურები შეადგენენ კულტურის იმ ერთადერთ ტიპს, რომელთანაც ადამიანები თავს დიდი მონდომებით აიგივებენ. ამის შემდეგ ჩნდება ამ კულტურების პოლიტიკური ლეგიტიმაციის მოთხოვნილება. ადამიანებს მხოლოდ იმათთან სურთ პოლიტიკურად გაერთიანება, ვინც მათ კულტურას იზიარებს. შესაბამისად, პოლიტიკა აფართოებს თავის საზღვრებს თავისი კულტურის ჩარჩოებამდე, რათა საკუთარი ძალაუფლების გავრცელების არეში დაიცვას და კვლავ წარმოშვას თავისი კულტურა. ნების, კულტურის და პოლიტიკის გაერთიანება ნორმა ხდება. ეს პირობები კაცობრიობის მთლიანი ისტორიისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ მხოლოდ მისი ინდუსტრიული პერიოდისთვის. **ერებს მხოლოდ ნაციონალიზმი წარმოშობს და არა, პირიქით, ერები - ნაციონალიზმს.** ბუნებრივია, ნაციონალიზმი კულტურის ადრე არსებულ, ისტორიულად გადმოცემულ სახეებს იყენებს, თუმცა ამორჩევით, და თანაც ის მას ხშირად რადიკალურად გარდაქმნის. [35]

ენტონი სმითის წიგნი „ნაციონალიზმი, იდეოლოგია, ისტორია“ ძირითადად შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომია. ენტონი სმითი დიდ ადგილს უთმობს ერი-სახელმწიფოს როლისა და პერსპექტივების ანალიზს. მისთვის ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის იდეოლოგია და სოციალური მოძრაობა, რომლებისთვისაც დამახასიათებელია განსაკუთრებული სიმბოლური ენა და რიტორიკა. სწორედ ენტონი სმითმა განასხვავა პირველად სამოქალაქო და ეთნიკური ტიპის ერები და ნაციონალიზმი. ის იზიარებდა მოსაზრებას ნაციონალიზმზე, როგორც თანამედროვე ფენომენზე და, ამავე დროს, ასაბუთებდა, რომ ყველა ერს აქვს გაბატონებული „ეთნიკური ბირთვი“ და „წინა ისტორია“.

თავის წიგნში „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან: პროგრამა, მითი, რეალობა“, ერიკ ჰობსბაუმს მოჰყავს ნაციის (ერის) სტალინისეული (1912) და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირში ათწლეულების განმავლობაში ერთადერთი დაშვებული დეფინიცია: „ნაცია არის ისტორიულად წარმოქმნილი, საერთო ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრების და ფსიქოლოგიის მქონე სტაბილური ერთობა, რომელიც კულტურულ ერთობაშია მანიფესტირებული“. ერიკ ჰობსბაუმი აღნიშნავს, რომ ეს არის ერის ობიექტური კონცეპტი. არსებობს კიდევ ერის **ვოლუნტარისტული კონცეპტი,** რომლის ორი ვერსია არსებობს: **კოლექტიური კონცეპტი,** რომელიც გამოიხატება ერნესტ რენანის ცნობილ განსაზღვრებაში - „ერი, როგორც ყოველდღიური პლებისციტი“. და სუბიექტური, **ინდივიდუალური კონცეპტი** - როცა ადამიანი მოითხოვს (ირჩევს) ამა თუ იმ ნაციონალობას. ვოლუნტარისტული კონცეპტი, მისი აზრით, არის გაქცევა ობიექტური კრიტერიუმების დიქტატისგან. მაგრამ ეს კონცეპტი მხოლოდ ნების კრიტერიუმზეა აგებული (ცნობიერება და პირადი არჩევანი), შესაბამისად, არც ვოლუნტარისტული (სუბიექტური) და არც ობიექტური დეფინიციები არ არის დამაკმაყოფილებელი. ამიტომ, ერიკ ჰობსბაუმის აზრით, ხშირად აგნოსტიკური პოზიცია ყველაზე მისაღებია. ერიკ ჰობსბაუმი იზიარებს ერნესტ გელნერის ხედვას, რომ „ნაცი-

ონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პრინციპი, რომელიც პოლიტიკური და ეროვნული ერთობების დამთხვევას მოითხოვს“, რომელიც მცხოვრებლებს აკისრებს ვალდებულებას იმ ერთობის წინაშე, რომელიც მათ ნაციად აყალიბებს. ერი არ არის ოდითგანვე არსებული და უცვლელი სოციალური ერთობა. ის შეიქმნა თანამედროვე ისტორიის კონკრეტულ პერიოდში. როგორც ერნესტ გელნერი, ისიც ხაზს უსვამს ერების ქმნადობაში ხელოვნურობის ელემენტს, გამოგონებას და სოციალურ ინჟინერიას. ისევ გავიხსენოთ ერნესტ რენანი, რომლისთვისაც ისტორიული დავიწყება, მოვლენათა აღრევაც კი, ერის შექმნაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, და ამიტომ, წინსვლა ისტორიულ კვლევებში ხშირად ერისთვის საფრთხეს წარმოადგენს!

ერიკ ჰობსბაუმი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ერის პოლიტიკური იდეის დაბადება 1789 წლის საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ განაპირობა. ერი, როგორც ღვთით ბოძებული, როგორც ხელშეუვალი - მითია. რეალობა არის ნაციონალიზმი, რომელიც ადრეულად არსებულ კულტურებს ერებად გარდაქმნის, ზოგჯერ ხელახლა გამოიგონებს. ერი არის ეროვნული სახელმწიფოს და ნაციონალიზმის შედეგი. [36] შემდეგ ნაწილში ჩვენ ვისაუბრებთ ამ და ზოგიერთი სხვა თეორიის გამოძახილსა და გავლენაზე ნაციონალიზმის დისკურსზე საქართველოში.

კლასიკური და ზოგიერთი სხვა თეორიის გავლენა ნაციონალურ დისკურსზე საქართველოში. ცნება „დიდი იდენტობა“

წინა ქვეთავებში ჩვენ ვნახეთ, რომ ნაციონალიზმის თანამედროვე კლასიკური თეორიების მიხედვით (Gehlner, Smith, Anderson, Hobsbawm) ცნება „ერი“ იქმნება ახალ დროში. რომ მანამდე ცნება „ერი“ არ არსებობდა, და თუკი რამე მსგავსი არსებობდა, ეს არ იყო ცნება „ერი“. ამ ავტორთა აზრით, ეროვნული ცნობიერების გაჩენა მთელ მსოფლიოში მე-19 საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ. ამ თეორიებმა, ბუნებრივია, დიდი გავლენა მოახდინა ქართულ აკადემიურ წრეებზე. გიგი თევზაძე აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმზე წერა, ლაპარაკი და კამათი თანამედროვე საქართველოში დაიწყო სამმა ავტორმა: ზალიკო ქიქოძემ, გია ნოდიამ და თვითონ გიგი თევზაძემ. გიგი თევზაძე აღნიშნავს, რომ თანამედროვე კლასიკური თეორიების და მათი დებულებების აღიარება და ქართულ სივრცეში განვრცობა მოითხოვდა პასუხის გაცემას მსგავსი ტიპის სრულიად ლეგიტიმურ შეკითხვებზე:

- რა ტიპის ერთობამ შექმნა „ქართლის ცხოვრება“?
- ხომ არის ისტორიულად დადასტურებული ქართველების თავდადება ერისა და სარწმუნოებისათვის?
- წარმოადგენდნენ თუ არა ებრაელები ერს ახალ დრომდე?

ამ შეკითხვებზე შემდეგი პასუხების გაცემა იყო შესაძლებელი: პირველი, ის, რომ შუა საუკუნეებში დომინირებს რელიგიური განწყობები. ანუ, რაც შუა საუკუნეებში ეროვნული ცნობიერება გვგონია, [საქართველოს შემთხვევაში] სინამდვილეში არის რელიგიური ცნობიერება, რომელსაც ისტორიულად განსაკუთრებული ნიშნები ჰქონდა. პასუხად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ შუა საუკუნეებში საქმე გვაქვს მხოლოდ ეთნიკური იდენტობის ჩანასახებთან. რაც შეეხება ძველ ებრაელებს, მათი ერთობა ეყრდნობოდა რელიგიურ იდეას და არა ეროვნულს. მაგრამ ეს პასუხები, აღიარებს გიგი თევზაძე, ძალიან დამაჯერებლად არ ჟღერს.

სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, მას შემოაქვს ტერმინი **„დიდი იდენტობა“.** „დიდი იდენტობა“ არის გარემომცველ სამყაროზე იდეებისა და წარმოდგენების სისტემა, რომელსაც იზიარებს და აღიქვამს საკუთარი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოქმედებების საფუძვლად ადამიანების დიდი ჯგუფი, რომლის წევრების უმეტესობა ერთმანეთს არ იცნობს და, სავარაუდოა, რომ არც არასოდეს გაიცნობს. როგორც წესი, ეს წარმოდგენები ქმნის წარმოსახვით საზღვრებს, რომლის იქით მოხვედრილი ადამიანი უცხოდ აღიქმება. ეს წარმოსახვითი საზღვარი შეიძლება ემთხვეოდეს გეოგრაფიულ ან პოლიტიკურ საზღვარს, შეიძლება – არა.

გიგი თევზაძის აზრით, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ „დიდი იდენტობა“, როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენი, მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შესაძლებელი გახდა დიდი ხნის განმავლობაში ადამიანების დიდ ჯგუფებში კონკრეტული იდეებისა და წარმოდგენების კომპლექსის უცვლელი და უდანაკარგო გავრცელება/დანერგვა, ანუ მას შემდეგ, რაც წარმოიშვა უნიფიცირებული, ერთიანი განათლების სისტემა და მასმედია. მხოლოდ მასმედიის და განათლების საშუალებითაა შესაძლებელი, იდეებისა და წარმოდგენების რომელიმე სისტემა ყოველი მოქალაქისათვის საერთო, ძვირფასი და შეუცვლელი გახადო. სხვა სიტყვებით, „დიდი იდენტობა“ არის შესაძლებლობა, იდეების ერთი სისტემა მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის გახდეს შინაგანი, აუცილებელი და პოლიტიკური და სოციალური ქმედებების განმსაზღვრელი. „დიდ იდენტობას“ ქმნიან და ავრცელებენ მთავრობები ან დიდი გავლენის მქონე ადამიანთა ჯგუფები. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მთავრობაში ან დიდი გავლენის მქონე ჯგუფებში განსაკუთრებით ჭკვიანი ადამიანები შედიან, არამედ იმიტომ, რომ დიდი იდენტობის შესაქმნელად აუცილებელი ორივე მექანიზმი – განათლებისა და მასმედიის ინსტიტუციონალური ფორმები – მათ ხელშია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში „დიდი იდენტობის“ შექმნა შემქმნელების მიერ გაუცნობიერებლად მიმდინარეობს.

შუა საუკუნეებში „დიდი იდენტობის“ შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობდა უნიფიცირებული და საყოველთაო განათლების სისტემა. მაგრამ შუა საუკუნეებში ასეთი ქვეყნები/საზოგადოებები გამონაკლისს წარმოადგენდნენ. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია ჩინეთი.

„ძირს კონფუცი!“ - პლაკატი ასეთი წარწერით მოჰქონდათ ხუნვეიბინებს (ახალგაზრდა რევოლუციონერებს) გასული საუკუნის 70-იან წლებში, ჩინეთის კულტურული რევოლუციის დროინდელ დემონსტრაციაზე. კონფუცის მოძღვრება საუკუნეების განმავლობაში ჩინეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და საგანმანათლებლო კულტურის საფუძველს წარმოადგენდა, რაც ხელს უწყობდა „დიდი იდენტობის“ ფენომენის (მინიმუმ, მისი მრავალი ელემენტის) ჩამოყალიბებას.

ასევე, თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ებრაელთა საზოგადოებაც „დიდი იდენტობის“ მატარებელი იყო – სწორედ უნიფიცირებული და [თითქმის] საყოველთაო განათლების მეშვეობის გამო.

გიგი თევზაძე აღნიშნავს, რომ ქართველების ეროვნული იდეა, ცნობიერება იმ დროიდან არსებობდა, რა დროიდანაც არსებობს ქართული სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს ელიტის პოლიტიკური განაცხადი. მაგრამ ეროვნული იდეა, როგორც „დიდი იდენტობა“, საქართველოში შესაძლებელი გახდა მხოლოდ მასმედიისა და განათლების ფორმალიზებული სისტემების წარმოშობის შემდეგ. [37]

მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი თანამედროვე ავტორის პოზიცია აღნიშნულ საკითხებზე.

კრებულის „დამოუკიდებლობის შემდეგ: ერის შექმნა და დაცვა პოსტკოლონიურ და პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში“ (2006) შესავალ ნაწილში ლოუელ ბარინგტონი აყალიბებს ნაციონალიზმის კვლევის ახალ მიმართულებას - ნაციონალიზმის როლი და ფუნქცია სუვერენული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ. იან ბრემერი სტატიაში „პოსტსაბჭოთა ერები დამოუკიდებლობის „შემდეგ“ (იგივე კრებული) წერს, რომ დამოუკიდებლობის ძიებაში ნაციო-

ნალურმა ელიტებმა მასების მობილიზაცია ერის, სამშობლოს, ისტორიული იდენტობის გარშემო მოახდინეს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უკვე ახალმა გამოწვევებმა იჩინა თავი, ახალმა მიზნებმა, თამაშის ახალმა წესებმა. კრებულის ერთ-ერთ ავტორს, კავკასიის რეგიონის ცნობილ მკვლევარს სტივენ ჯონსს მიაჩნია, რომ 90-იან წლებში ქართულმა ნაციონალიზმმა კრახი განიცადა, რის შედეგიცაა სამოქალაქო ომი, შეიარაღებული გზით ხელისუფლების დამხობა, ორი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი და დაკარგული ტერიტორიები.

ნატალი საბანაძე ნაშრომში „გლობალიზაცია და ნაციონალიზმი: საქართველოსა და ბასკეთის შემთხვევები“ პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის სამ ფაზას გამოყოფს:

1. ნაციონალური ფუნდამენტალიზმი და რადიკალიზმი - ზვიად გამსახურდიას ეპოქა;
2. ნაციონალური აპათია, დერადიკალიზაცია - ედუარდ შევარდნაძის პერიოდი;
3. 90-იანი წლების მიწურული და „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი -ძლიერი სამოქალაქო დისკურსი, და, მეორე მხრივ - რადიკალური განწყობების ჩამოყალიბება.

თავის სხვა ნაშრომში - „საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება: გამოწვევა სახელმწიფოს მშენებლობისათვის“ (2012), ნატალი საბანაძე წერს საბჭოთა პერიოდში განხორციელებულ ეთნიკურ ინსტიტუციონალიზაციაზე. ის აანალიზებს სიტუაციას, როდესაც მულტიკულტურალიზმის იდეის პარალელურად ღვივდებოდა ეთნიკური ნაციონალიზმი და პრიმორდიალური მიდგომები აკადემიურ წრეებში.

ზურაბ დავითაშვილის აზრით („ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. 2003), 1990-იან წლებში საქართველოს მარცხი სწორედ რადიკალურმა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა განაპირობა. ამ მარცხმა ხელი შეუწყო სამოქალაქო ნაციონალიზმზე მოთხოვნის გაჩენას და მასზე გადასვლის პროცესზე ზრუნვას. პოლიტიკურმა ელიტებმა გააცნობიერეს, რომ სახელმწიფოებრიობის შენარჩუ-

ნება და განმტკიცება ეთნიკური ნაციონალიზმის სახელმწიფო ნაციონალიზმად გარდაქმნას მოითხოვს.

დავით აფრასიძე სტატიაში „სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი?“, კრებულიდან „ქართველი ერის დაბადება“ – აღნიშნავს, რომ კითხვა - რა გეოგრაფიულ არეალში იქმნება საქართველოს სახელმწიფო და ვინ შეადგენს ქართველ ერს? - ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. მისი აზრით, ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირების გზაზე **მთავარი გამოწვევა არის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობის ჰომოგენურობის მიღწევა.**

ამ მოკლე მიმოხილვის წარმოდგენაში ძალიან დაგვეხმარა ირაკლი ჩხეიძის სადოქტორი დისერტაცია. [38] შემდეგ ნაწილში შევეხებით თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის რადიკალიზაციის მიზეზებს.

თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის რადიკალიზაციის ფენომენი და მისი მიზეზები

ქართული ნაციონალიზმის რადიკალიზაცია, რომელიც მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოვლინდა, ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდა და უჯდება... ამ რადიკალიზაციის ფესვები უახლეს ისტორიაში უნდა ვეძებოთ, რუსეთის იმპერიაში თუ საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდებში. ამ, გარკვეულად, ერთიან სივრცეს, რუსიფიკაციის პოლიტიკა ახასიათებდა. ამიტომ ნაციონალური იდეის, პროგრამის შემქმნელების წინაშე იდგა ხალხის ეთნიკურ ნიადაგზე მობილიზების ამოცანა. ამიტომ ქართული ნაციონალური პროექტი ორმაგ დატვირთვას ატარებდა - მასში იყო როგორც ეთნიკური, ექსკლუზიური, ასევე სამოქალაქო, ინკლუზიური ელემენტები (ამგვარ ორმაგ პოზიციაზე, ქართული ეროვნული პროექტის მთავარ ავტორთან, ილია ჭავჭავაძესთან, ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ). ამ გარემოებამ თავისი როლი ითამაშა ქართული ნაციონალიზმის თანამედროვე რადიკალიზაციაშიც.

ეთნიკური ნაციონალიზმის იდეა ილია ჭავჭავაძემ მოაქცია ფორმულაში - „სამი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ წინაპართაგან - **ენა, მამული, სარწმუნოება“.** მაგრამ მისთვის მაშინვე გასაგები იყო, რომ საჭირო იყო სხვა რიგის ძალისხმევა, რომელიც უკვე არსებულ ფუნდამენტურ იდენტობა „ენა, მამული, სარწმუნოებაზე“ დაშენდებოდა. ეს ახალი ტიპის ძალისხმევა იყო სახელმწიფოებრივი იდენტობის აგების მცდელობა. დასავლური სახელმწიფოებრივი ფორმატი იგებოდა ძირითადად სამ უმნიშვნელოვანეს საყრდენზე - **განმანათლებლობა, ეკონომიკა და კომუნიკაციები.** საქართველოში სამოციანელებმა სრული ძალისხმევა მიმართეს სამივე ამ მიმართულებით.

1. დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება;
2. შედგა დასავლური ტიპის ეკონომიკური ორგანიზმი - საადგილმამულო ბანკი, რითაც საქართველოს მწირი რესურსების გათვალისწინებით მომავლის ეკონომიკური პრიორიტეტი განისაზღვრა;

3. დაარსდა და შეიქმნა საკომუნიკაციო ქსელი - ინფორმაციული უზრუნველყოფის მაშინდელი უახლესი ტექნოლოგიური ინსტრუმენტი - ჟურნალ-გაზეთები.

სამოციანელების ეს ძალისხმევა დიდ, მათ შორის კულტურულ-მენტალური ხასიათის სირთულეებს შეეჯახა. ზაზა ფირალიშვილი წერს, რომ საქართველო უამრავი კულტურის გადაკვეთის და შეკრების ადგილია - აქ თავს იყრის აზიური, ევროპული, ქრისტიანული, მუსლიმური, ტრადიციული და პოსტკულტურული ღირებულებები. მაგრამ, პირველ რიგში, მისი აზრით, საქართველო ძირითადად კონსერვირებული (და არა კონსერვატორული) კულტურის ქვეყანაა.

კულტურის კონსერვაცია იყო ერთ-ერთი თავდაცვის მექანიზმი იმ ისტორიული კატაკლიზმებისაგან, რომელიც ქვეყანამ ასწლეულების მანძილზე გაიარა. [39] სწორედ ამ კონსერვირებული კულტურის დაძლევა იყო და რჩება ეთნიკური ნაციონალიზმის სამოქალაქო ნაციონალიზმად გარდაქმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად. ამ მხრივ გლობალიზაციის პროცესი საქართველოს ახალი შესაძლებლობების წინაშე აყენებს. მას ეძლევა შანსი, გახდეს ერთადერთი სატრანზიტო კულტურული რეგიონი ბევრი კულტურის გადაკვეთაზე, იქცეს კულტურათა დიალოგის რეალურ სივრცედ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამგვარი გლობალური ტენდენცია ჩვენს კულტურას კონფლიქტურ რეჟიმში აქცევს. ერთი მხრივ, ის კონსერვირებულია, ხოლო მეორე მხრივ, ტრანზიტული. ეს გახლავთ ჩვენი კულტურის ახალი რეალობა.

ზაზა ფირალიშვილის აზრით, აქ იდენტობასთან დაკავშირებით საგანგაშო არაფერია, რამდენადაც ყოველი კულტურა ასეთ, კონფლიქტურ რეჟიმში მუშაობს. ამოცანა, მისი აზრით, უფრო სხვაგვარად დგას: უნდა გადავიაზროთ საქართველოს „კულტურული სტრატეგიები“ და განვსაზღვროთ კულტურის პოლიტიკის ახალი სტრატეგიული ორიენტაცია. მკვეთრად მოვნიშნოთ საქართველოს, როგორც მედიუმისა და სატრანზიტო სივრცის როლი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მისი აზრით, შეუძლებელია, ქართული კულტურა ერთ კონკრეტულ აღ-

წერაზე იქნას დაყვანილი. იგი მოზაიკურია. **ქართული კულტურის თბილისის ურბანიზებულ სუბკულტურას ის განსაკუთრებულ ფენომენად მიიჩნევს, რომელიც არა მხოლოდ ქართული კულტურის მოზაიკურობის მატარებელია, არამედ, თავისი არსით, იგი კავკასიის ცენტრს წარმოადგენს. ის წარმოადგენს იმ კულტურულ სივრცეს, რომელშიც რეალურად ყოველი კავკასიური კულტურისა და სუბკულტურის ტრანზიტი ხორციელდება.** [40]

ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტით განპირობებული ქართული ნაციონალური პროექტის ორმაგობის გარდა, ბუნებრივია, არსებობდა ნაციონალიზმის რადიკალიზაციის სხვა განმაპირობებელი ფაქტორები. ირაკლი ჩხაიძე აღნიშნავს, რომ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში განსაკუთრებით, ჩამოყალიბდა ეთნიკურად მონოლითური პოლიტიკური ელიტა, რომელიც კარგ ნიადაგს უქმნიდა დაპირისპირებას ეთნოსთა შორის. ეს იყო ერთგვარი სახელმწიფო „ნაციონალიზმი“, რომელიც ეთნიკურად ქართველებს უპირატესობას ანიჭებდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ანალოგიური იყო მიდგომა პრაქტიკულად ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში ე.წ. „ტიტულარული“ ეთნოსების მიმართ, ისევე როგორც ავტონომიურ რესპუბლიკებში. აქ გადაიკვეთა ეროვნული მოტივი და ანტიკომუნისტურ იდეოლოგია (თავისი ხალხთა ძმობით და თანასწორობით). ინტერნაციონალისტური იდეოლოგიისადმი ნიჰილიზმმა (რომელიც მარქსისტული იდეოლოგიის დასუსტების გამოვლინება იყო), გამოიწვია ეროვნული განწყობების გაღვივება და მარქსიზმის ჩანაცვლება ნაციონალიზმით. ბენედიქტ ანდერსონი ნაციონალიზმს მარქსიზმის ეროზიად თვლიდა. კომუნისტური იდეოლოგიის რყევამ და გამოფიტვამ „ხალხთა ძმობის“ იდეოლოგიის დასუსტება და რევიზია გამოიწვია. ბენედიქტ ანდერსონს მიაჩნდა, რომ მთავარი წვლილი სოციალისტური სისტემის კრახში სწორედ ნაციონალიზმმა შეიტანა.

რადიკალიზმის წარმოშობას ხელი შეუწყო „მცირე ერის სინდრომმა“, საკუთარი კულტურის, ენის, ტრადიციების დაკარგვის შიშმა. ამ სინდრომს და ამ შიშებს კვებავდა, როგორც დიდ სახელმწიფოებთან მეზობლობა, ასევე, მაგალითად, 1978 წლის მოვლე-

ნები (როცა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა გახდა საჭირო). [41] შეგვიძლია ვილაპარაკოთ ასევე ტიპოლოგიურად მსგავს „ობლობის სინდრომზე“. აზერბაიჯანელები დიდ თურქულ სამყაროს ეკუთვნიან. სომხებს უდიდესი და გავლენიანი დიასპორა აქვთ მთელ სამყაროში. ჩვენ კი, სულ მარტონი ვართ...

ჯონ ჰაჩინსონი მიჯნას ავლებს პოლიტიკურსა და კულტურულ ნაციონალიზმს შორის. პოლიტიკური ნაციონალიზმის მიზანია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. კულტურული ნაციონალიზმის მიზანს ეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოადგენს. ეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბება საჭიროებს ეთნოისტორიულ გამოღვიძებას, მშობლიურ ენაზე ზრუნვას, ლიტერატურულ, თეატრალურ და სხვა აქტივობებს. ამ კლასიფიკაციით თერგდალეულთა ნაციონალიზმს შეგვიძლია „კულტურული ნაციონალიზმი“ ვუწოდოთ, რაზეც მეტყველებს მთელი მათი საქმიანობა.

ჯონ ჰაჩინსონის, სტივენ ჯონსისა და სხვების აზრით, 1991 წელს ქართველი ხალხი წარმოადგენდა კულტურულ ფენომენს და არა პოლიტიკურ ან სამოქალაქო ერთობას. აქედან - უპირატესობის შეგრძნებების კულტივაცია, ფოლკლორული ტრადიციების გაფეტიშება. საკითხები ძირითადად წყდებოდა ქუჩაში, რაც განაპირობებდა განსაკუთრებულ ემოციურ ფონს, რაციოს ნაკლებობას, ეგზალტაციას, თეატრალურობას, კარნავალურობასა და მიტინგურ „ლოგიკას“, განაპირობებდა ემოციას, დრამას, პერფორმანსს - პრაგმატიზმის, დიალოგის და თანამშრომლობის მაგივრად. ამავე არსენალიდან იყო პატრიოტული ლირიკა, ლოცვების კოლექტიური კითხვა, ძახილი „ჯოს!“, მოღალატეების დადგენა და მათი ლანძღვა-გინება, ცეკვა-თამაში, ჩოხები, ერისკაცები, ერის მამები, „ჭეშმარიტი თბილისელები“ და ა.შ.

საქართველო ამ მხრივ არ იყო გამონაკლისი. ექსკლუზიური ნაციონალიზმის ნიშნები არსებობდა იმდროინდელი მრავალეთნიკური ქვეყნების უმეტესობაში.

ეროვნული უმცირესობები ზოგადად, და მათი სეპარატისტულად და სეპარაციონისტულად განწყობილი პოლიტიკური და კულტურული ელიტები ქართულ ეთნიკურ ნაციონალიზმს უარყო-

ფითად შეხვდნენ. მათი მხრიდანაც იმატა რადიკალიზმმა. შეიქმნა აფხაზური „აიდგილარა“, ოსური „ადამონ ნიხასი“, სომხური „კრუნქი“ და „ჯავახკი“, აზერბაიჯანული „გეირათი“.

ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის ლექსიკა და რიტორიკა ხელს უწყობდა ამ რადიკალიზმის გაღვივებას ორივე მხრიდან. ასევე, ქართულ ეროვნულ მოძრაობაში არ იყო ერთიანობა ნაციონალურ საკითხებთან დაკავშირებით. გამოიკვეთა ორი მიდგომა, ორი გზა - უფრო რადიკალური, ზვიად გამსახურდიას გზა, და უფრო კონსტრუქციული - ზურაბ ჭავჭავაძის გზა („ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერი). მე ვესწრებოდი იმ მრავალათასიან მიტინგს თბილისში, სადაც ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „აფხაზი ერი ისტორიულად არ არსებობდა. აფხაზეთი იყო სახელწოდება დასავლეთ საქართველოში და აფხაზები იყვნენ დასავლეთ ქართველები. ასე რომ, აფხაზი ერი იყო იგივე ქართველი ერი, დასავლეთ ქართველი ერი. ხოლო ის ძველი, ქრისტიანი აფხაზები, ქართველი აფხაზები დღეს აღარ არსებობენ. სახელწოდება „აფხაზი“ დღეს არასწორად იხმარება ამ აბსუას ტომთან დაკავშირებით, აბსუა, ანუ აბსარნი - ეს არის ჩრდილოეთ კავკასიური, ადიღეური მოდგმის ტომი. ჩვენ არც ერთი ტომის, ჯგუფის თვითგამორკვევის წინააღმდეგნი არ ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს. მითუმეტეს, თუ მას აქვს ერის გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ, მის ისტორიულ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ეს ტომი თუ ტომები ამას შეიგნებენ, ჩვენ მათ ამოვუდგებით მხარში, ოღონდ იმ პირობით, რომ მან უნდა აღადგინოს ისტორიული სამართლიანობა, დაგვითმონ ჩვენი მიწა-წყალი და დამკვიდრდნენ იქ, საიდანაც მობრძანდნენ“. [42]

მახსოვს ამ გამოსვლის შემდეგ ათასობით ეგზალტირებული ქართველის მრავალჯერადი ძახილი „ჯოს!“. ეს მოკლე გამოსვლა შეტანილ უნდა იქნეს სახელმძღვანელოებში, საილუსტრაციოდ იმისა, თუ როგორ არ უნდა ილაპარაკო ნაციონალურ საკითხებზე პოლიეთნიკურ სახელმწიფოში. ზვიად გამსახურდიას მოსაზრება ჭეშმარიტიც რომ ყოფილიყო, ის არაფერს ცვლიდა აფხაზების - ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსის - თვითიდენტიფიკაციაში. ვე-

რაფრით შეარყევდა მას. მეტიც, ასეთი პოზიცია აფხაზების ეროვნულ მობილიზაციას და რადიკალიზაციას უწყობდა ხელს.

ნებისმიერი ეთნოსი, რომელიც დიდხანს ცხოვრობს გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელსაც უჩნდება იმ ტერიტორიაზე საფლავი, სამლოცველო და სხვა სოციალურ-ყოფითი ინსტიტუტები, ახდენს ამ ტერიტორიის ინკორპორირებას თავის კულტურულ მატრიცაში. ის მისი ტერიტორიაც ხდება.

ნებისმიერი ეთნოსი, რომელიც დიდხანს ცხოვრობს გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელსაც უჩნდება იმ ტერიტორიაზე საფლავი, სამლოცველო და სხვა სოციალურ-ყოფითი ინსტიტუტები, ახდენს ამ ტერიტორიის ინკორპორირებას თავის კულტურულ მატრიცაში. ის მისი ტერიტორიაც ხდება.

განსაკუთრებით ამერიკელებთან, და, პრინციპში, ევროპელებთანაც, ძალიან უმწეოდ გამოიყურება იმ ტიპის არგუმენტები, როგორიცაა: ისინი (მაგალითად, ოსები) მხოლოდ 400 წლის წინ დასახლდნენ საქართველოში და ა.შ. ბევრისგან ასეთი მოსაზრებაც მომისმენია - სომხები არ არიან ავტოქტონური, აბორიგენი ერი, ისინი „მხოლოდ“ 2000 წლის წინ დასახლდნენ სომხეთის ტერიტორიაზე. ოპერირება ამ დროებითი მაჩვენებლებით და პარამეტრებით ყოვლად მიუღებელია თანამედროვე პოლიტიკისთვის. ის უბრალოდ ძალიან უნაყოფოა, მაშინაც კი, როცა ისტორიული მასალა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენება. მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესობა პოლიტიკური თუ სამეცნიერო-აკადემიური წრეებიდან (რომ არაფერი ვთქვათ ფართო მასებზე), მთლიანდ პრიმორდიალური მიდგომის პოზიციებზე რჩება.

შემდეგ ნაწილში ვილაპარაკებთ რელიგიისა და ეკლესიის როლზე ნაციონალური იდეის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, სეკულარიზაცია-რესეკულარიზაციის პროცესის თავისებურებებზე და გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიური ღირსების ურთიერთობის საკითხებზე.

რელიგიისა და ეკლესიის როლი ნაციონალური იდეის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სეკულარიზაცია-რესეკულარიზაციის პროცესის წინააღმდეგობანი. გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიური ღირსების ურთიერთობის საკითხი

კორჩეს მიტროპოლიტი, იოანე ბელუში (ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესია), სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი და ვიწრო ეთნიკური გაგება მიუღებელია მართლმადიდებლობისთვის და ეს ვიწრო ეთნიკური გაგება მჭიდროდაა დაკავშირებული მე-19 საუკუნეში ინტელიგენციაში ნაციონალისტური იდეების გაჩენასთან. ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციისათვის ეკლესია იყო მხოლოდ საშუალება თავიანთი ნაციონალისტური მიზნების განსახორციელებლად. მისი აზრით, ეკლესია ენთუზიაზმით არ შეხვედრია ნაციონალისტური მოძრაობის გაჩენას, რადგან იგრძნო, რომ ის არ შეესაბამებოდა მართლმადიდებლობის საყოველთაო ბუნებას, მაგრამ ვერ შეძლო განედევნა ნაციონალიზმის დემონები.

კომუნისტური რეჟიმის რღვევას თან ახლდა ეკონომიკური და პოლიტიკური (ინსტიტუციონალური) კრიზისი და ზნეობრივი ანომიის სიტუაცია (საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით, ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით, როცა ინდივიდებს არა აქვთ, ან არ ცნობენ არანაირ მყარ სახელმძღვანელო პრინციპებს). ეს სიტუაცია რადიკალურმა ნაციონალიზმმა თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენა. მათ შორის რელიგიური გრძნობების გაღვივებით, როცა, მაგალითად, ნერგავდნენ წარმოდგენას, რომ მშობლიური რელიგია საფრთხეშია (მრავალმა ბალკანელმა ბალკანეთის ომებს ირონიულად ათეისტების რელიგიური ომები უწოდა, წერს იოანე ბელუში). [43]

მსგავს პოზიციაზეა ამერიკელი მკვლევარი სვანტე კორნელი,

რომელიც უარყოფს მოსაზრებას, რომ კავკასიის კონფლიქტები არის შედეგი რელიგიური დაპირისპირებისა. მისი აზრით, რელიგია ძალზე შეზღუდულ როლს თამაშობდა რეგიონის კონფლიქტებში – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც რელიგია ეთნიკური იდენტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ის თვლის, რომ კავკასიური კონფლიქტები ბუნებით ეთნოპოლიტიკურია, რადგანაც ეყრდნობა ეთნიკურობის (და არა რელიგიის) პოლიტიზაციას.

ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგია არის ეთნიკური იდენტურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, ამიტომ აუცილებელი ხდება მართლმადიდებლობისა და ისლამის ერთგვარი აღორძინების, ერთგვარი რესეკულარიზაციის პროცესების ანალიზი ქვეყანაში, რომელსაც დასავლური კურსი აქვს დეკლარირებული.

რამდენად თავსებადია მართლმადიდებლობა და ისლამი დასავლურ ღირებულებებთან? ვფიქრობ, ჰარმონიულ თავსებადობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მითუმეტეს, თუკი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქიის მქონე პირების უახლოეს პერიოდში გაკეთებულ საჯარო განცხადება-ქადაგებებს გავიხსენებთ. ეს სიტუაცია უაღრესად სახიფათოა შიდა კონფლიქტების წარმოქმნის თვალსაზრისით, რადგანაც ქვეყანაში სხვა აღმსარებლობებთან თანამშრომლობისა და შეწყნარების სურვილის დეფიციტს განაპირობებს. ქვეყანაში, სადაც ტრადიციულად გაბატონებულია ერთი ეკლესია, იქ რელიგიური უმცირესობებისთვის ადგილის პოვნა მტკივნეული პროცესი ჩვენში რელიგიური ფუნდამენტალიზმის პოზიციები კი არ შესუსტებულა, პირიქით, განმტკიცდა. ფართოდ გავრცელებულია განწყობები მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებისა და რელიგიური უმცირესობების უფლებების შეზღუდვის შესახებ. საბოლოოდ „გაფორმდა“ იდენტობა ქართველობასა და მართლმადიდებლობას შორის. რელიგიის ნაციონალიზაციის პროცესი ღრმავდება, რასაც მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ენაზე ფილეტიზმი, ანუ მეტომეობა და მწვალებლობა

ჰქვია, რადგანაც ის ეკლესიათა ეროვნებების მიხედვით დაყოფას გულისხმობს.

მივიწყებას ეძლევა ის ისტორიული გამოცდილება, ის საუკუნოვანი შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის ტრადიცია, რომელსაც ასე ხშირად ვახსენებთ ხოლმე. ის ფაქტი, რომ სწორედ მართლმადიდებლური აზროვნებით და მსოფლმხედველობით აიხსნება ქართულ მიწაზე გვერდიგვერდ მართლმადიდებლების, მონოფიზიტების, მუსლიმებისა და იუდეველების მშვიდობიანი თანაცხოვრება.

„სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი - აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და - სინდისის თავისუფლებასა“. ეს ილია ჭავჭავაძის სიტყვებია. [44]

ირაკლი კაკაბაძის აზრით, ქართული ქრისტიანული კულტურის დადებითი მხარე სწორედ ის იყო, რომ ჩვენთვის უცხო იყო ვიწრო ეთნიკური შოვინიზმი. თბილისის მეიდანის არქიტექტურული კომპლექსი და იგივე ავლაბრის ეთნიკური შემადგენლობა სწორედაც რომ ქართული (და თბილისის) კულტურის კოსმოპოლიტიზმზე მიუთითებს. ასევე გავიხსენოთ, რომ, ჯვაროსნული ცივილიზაციისაგან განსხვავებით, ქართულ ქრისტიანობას არასდროს უქცევია დოგმად რელიგიური „სამართლიანი ომი“, ანუ არასდროს გაუმართლებია ძალადობა. თუმცა, ეს „არასდროს“ შედარებითი ცნებაა. მეოცე საუკუნის ბოლოდან უკვე რეგულარულად გვესმის ეთნიკური შოვინიზმის და ანტიჰუმანიზმის ღია ქადაგება სხვადასხვა საზოგადო საერო და რელიგიური მოღვაწეების მხრიდან... [45]

არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენი „ოდითგან ტოლერანტობა“

მხოლოდ შორეულ წარსულს ეხება და რომ კონფესიათა თანაარსებობა პოლიტიკური სიტუაციით და კონიუქტურით იყო ნაკარნახევი. შუა საუკუნეებიდან ბევრი დრო გავიდა, მაგრამ კონფესიათა ურთიერთდაახლოების სასარგებლოდ დიდად არაფერი შეცვლილა. [46]

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობაში ტრადიციულ ადგილობრივ ეკლესიებს აქვთ გარკვეული პრივილეგიები. ევროპაში გაცნობიერებული აქვთ, რომ რელიგია ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ ევროპული ქვეყნების ეროვნული ცნობიერება და ფასეულობები საუკუნეების მანძილზე ქრისტიანული ეკლესიის წიაღში ყალიბდებოდა. ევროკონსტიტუციის ვერ მიღების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ევროპული საზოგადოება ვერ შეთანხმდა ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიის როლის განსაზღვრაზე და ამ როლის დადასტურებისა და დაფიქსირების პირობაზე კონსტიტუციის პროექტში.

საინტერესო მაგალითია ამ მხრივ აშშ. ქვეყანაში არ არსებობს ტრადიციული აღმსარებლობა და, შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს გამოცხადებული რელიგიური ნეიტრალობა. ამავე დროს: კონგრესს ჰყავს საკუთარი მღვდელი; ჯარში ჰყავთ ძირითადად ქრისტიანი კაპელანები; ფიცის მიღების დროს გამოიყენება ბიბლია. რელიგიური ნეიტრალობა არ უშლის ხელს იმას, რომ (ჩვენ ამაზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ) კათოლიკეებისა და პროტესტანტების რაოდენობის გათანაბრების მიუხედავად, ქვეყნის სულიერ წყობას დღესაც ინგლისური ყაიდის „პროტესტანტიზმი განსაზღვრავს.

ვფიქრობ, სწორედ რელიგიის თემაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იღებენ ევროკავშირში თურქეთს. ხუმრობა პოლიტიკური კულუარებიდან ამ თემაზე (თუ რატომ არ ღებულობენ): „იმიტომ, რომ თურქეთი ძალიან დიდია, ძალიან ღარიბია, და ძალიან... მუსლიმურია“.

კვლევები ადასტურებს, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ევროპაში ღვთისმსახურება შესამჩნევად შემცირდა. ამავე დროს,

ევროსაბჭოს ფაქტობრივად ყველა წევრ ქვეყანაში თვალსაჩინოა მუსლიმური თემების რიცხობრივი ზრდა და მათი გაძლიერება. აქ მეტად სერიოზული პრობლემა იჩენს თავს, მათ შორის საქართველოსთვისაც. საქმე ისაა, რომ მუსულმანური საზოგადოება არ სეკულარიზდება იმ დოზით და იმ ხარისხით, როგორითაც ევროპის ქრისტიანული საზოგადოება. საქმე გვაქვს საპირისპირო პროცესთან. ახალ ვითარებაში, მულტიკულტურალიზმის გაცხადებული კრახის შემდეგ, იდენტობის მოპოვების, შენარჩუნების თუ დაცვის საშუალებად საზოგადოების მუსულმანური სეგმენტი რესეკულარიზაციით პასუხობს. ხდება, ერთი მხრივ - ქრისტიანული ევროპული ქვეყნების მზარდი სეკულარიზაცია, რელიგიურობისა და, განსაკუთრებით, ეკლესიურობის კლება, ხოლო მეორე მხრივ, ამ ქვეყნების მოსახლეობის საკმაოდ დიდი მუსლიმური ნაწილის რელიგიურობისა და ეკლესიურობის მატება (რეაქცია-გამოვლინება ახალი იდენტობების ძიების ფენომენზე).

ამ მხრივ ძალიან დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიური ღირსების ურთიერთობის საკითხი. ბოლო წლებში ჩვენ გავხდით მოწმენი სიტუაციისა, როცა გამოხატვის თავისუფლების აბსოლუტურობამ გამოიწვია საზოგადოების გარკვეული სეგმენტის რელიგიური გრძნობების შელახვა. დასავლეთში პრევალირებს მოსაზრება, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლება არ უნდა შეიზღუდოს ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის მზარდი რელიგიური სენსიტიურობის გამო. ამ ორი უფლების ჰარმონიული, უკონფლიქტო ურთიერთობების მიღწევას (გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიური ღირსების დაცვას შორის) მაღალი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი თვისებების მატარებელ ადამიანს აკისრებენ...

ამის მიღწევა არ იქნებოდა იმდენად რთული მორწმუნეებს, ათეისტებსა და აგნოსტიკოსებს შორის რელიგიურად ჰომოგენურ საზოგადოებაში. მაგრამ საკითხის სირთულე და მგრძნობიარობა მატულობს ძირითადად მუსლიმი მრევლის რიცხობრივი ზრდისა და რესეკულარიზაციის ფონზე. სწორედ ამ ორი ხედვის არსე-

ბობა: ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ევროპული სოციალურ-კულტურული მატრიცისთვის „წმინდა ძროხას“ წარმოადგენს (სეკულარიზებული დასავლელი ქრისტიანები და არამორწმუნეები) და, მეორე მხრივ, რელიგიური ღირსების დაცვა (რიცხობრივად მზარდი და მოქალაქეობის მქონე მუსლიმი მრევლი), არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა დღევანდელი მულტირელიგიური ევროპისთვის და, მათ შორის, ჩვენი ქვეყნისთვისაც. ამ მხრივ, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ყველაზე ნიშანდობლივი ტერაქტი იყო თავდასხმა „შარლი ებდოზე“.

თეორიული და შედარებითი მსჯელობის შემდეგ, მომდევნო ქვეთავში წაიკითხავთ კონკრეტულ ისტორიებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია **საქართველოს ნაციონალური პოლიტიკის კრახი დამოუკიდებლობის პირველ წლებში.**

საქართველოს ნაციონალური პოლიტიკის კრახი დამოუკიდებლობის პირველ წლებში

აფხაზეთის კონფლიქტი შეიძლება ყველაზე სასტიკი და მძიმეა იმ კონფლიქტთაგან, რომლებიც თავს დაატყდა საქართველოს ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

მოკლედ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, აფხაზეთთან აფხაზეთი საბჭოთა საქართველოს ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო. აფხაზები საქართველოში მცხოვრები 80 ეთნიკური ჯგუფიდან ყველაზე მოუსვენარი, თუმცა რიცხობრივად არცთუ დიდი ჯგუფი იყო. საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 5,4 მილიონს შეადგენდა. აქედან 95000 აფხაზი იყო. 1921 წლის მარტში, გასაბჭოების შემდეგ აფხაზეთს, როგორც საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზე თავისი სურვილით ხელმომწერ მხარეს, ეწოდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკა და ის ცნობილი იქნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ. სწორედ ეს არის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც აფხაზები მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას და რაზე დაყრდნობითაც, 1988 წელს, ექვსმა აფხაზმა ლიდერმა საბჭოთა ხელმძღვანელობას მისწერა წერილი, სადაც ჩამოყალიბებული იყო პრეტენზიები საქართველოს მიმართ.[47]

სიტუაცია გამძაფრდა 1989 წლის გაზაფხულზე. 18 მარტს, გუდაუთის სოფელ ლიხნიში (აფხაზეთის ისტორიულ ცენტრად მიჩნეული) ჩატარდა აფხაზთა სახალხო კრება. კრებამ შეადგინა პეტიცია საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის სახელზე, რომელშიც მოითხოვდნენ აფხაზეთის გამოყოფას საქართველოდან. ამ მოთხოვნამ თბილისში ვნებათაღელვა გამოიწვია. ორ აპრილს სოხუმში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ორგანიზებით გაიმართა ქართველთა დიდი მანიფესტაცია. მათ შორის იყვნენ თბილისიდან ჩასული ეროვნული მოძრაობის ლიდერები - ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე. ოთხ აპრილს კი თბილისში პერმამენტული აქცია დაიწყო, სტუდენტთა შიმშილობით.

პროცესის სათავეში ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთა მოექცა. ქართულმა ნაციონალიზმმა საბოლოოდ მიიღო რადიკალური სახე თავისი ქუჩის აქციებით და მანიფესტაციებით. ემოციური ფონის გარდა (9 აპრილი და მისი შედეგები), ვითარებას ართულებდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა შორის პიროვნული უთანხმოებები, გაუტანლობა და მტრობა. სიტუაცია იძაბებოდა. 1989 წლის ზაფხულის შეტაკებებში სოხუმში თორმეტი კაცი დაიღუპა და რამდენიმე ასეული დაიჭრა.

1990 წლის აგვისტოში, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ აფხაზეთი გამოაცხადა სრულუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკად, რითაც ფაქტობრივად გამოეყო საქართველოს. კონფლიქტის მთავარ კატალიზატორად იქცა 1991 წლის მარტის საყოველთაო საკავშირო რეფერენდუმი, რომელიც გორბაჩოვის მიერ წარმოდგენილ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ეფუძნებოდა. საქართველოს ხელმძღვანელობამ აუკრძალა ქვეყნის მოსახლეობას ამ რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება. მიუხედავად ამისა, აფხაზებმა, რომლებიც დადებითად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისადმი, მიიღეს რეფერენდუმში მონაწილეობა და მტკიცედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას. აფხაზეთმა აღადგინა 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც მას განსაზღვრავდა, როგორც დამოუკიდებელ, მაგრამ "სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან გაერთიანებულ რესპუბლიკას", რაც იმ დროისთვის არსებული რეალობის გათვალისწინებით, პრაქტიკულად დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოსთან ფედერაციული გაერთიანებისთვის კარი ჯერ კიდევ ღია რჩებოდა. სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა გამოყენებული არ იქნა და აფხაზეთის ამ ქმედებაზე რეაქცია 14 აგვისტოს სამხედრო მოქმედებების დაწყებით დაგვირგვინდა. [48]

მოკლედ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, სამხრეთ ოსეთთან (სამაჩაბლოსთან) მიმართებაში.

1989 წლის 15 აგვისტოს გამოიცა დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რის საფუძველზეც განი-

საზღვრა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი. ქართული ენა გამოყენებული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. იმის გათვალისწინებით, რომ ოსური მოსახლეობის უმრავლესობამ ქართული ენა არ იცოდა, „ადამონ ნიხასმა“ აღნიშნული დოკუმენტი დისკრიმინაციულად და ანტიდემოკრატიულად მიიჩნია. რეგიონში დაიწყო სახალხო დემონსტრაციები და გაფიცვები. 1989 წლის 26 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის მე–20 მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მიერ საქართველოს უმაღლესი საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 75–ე მუხლს დამატებოდა შემდეგი პუნქტი: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა“. საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა მოთხოვნა ოსური ენის შესახებ კონსტიტუციურ ცვლილებასთან დაკავშირებით, რასაც შედეგად მოჰყვა „კანონთა ომის“ სრული მასშტაბით დაწყება.

ამასობაში ოსურმა სახალხო ფრონტმა „ადამონ ნიხასმა“ მხარი დაუჭირა აფხაზთა მიერ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის მოთხოვნას და, თავის მხრივ, გაგზავნა პეტიცია მოსკოვში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების მოთხოვნით. [49]

1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება ოლქის „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.“ ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა 21 სექტემბერს. მიუხედავად ამისა, ოლქის საბჭოს მეთხუთმეტე სესიამ ძალაში დატოვა თავისი გადაწყვეტილება და დაიწყო მზადება უზენაესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისთვის, რომელიც 1990 წლის 2 დეკემბერს დაინიშნა. ამის საპასუხოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 22 ნოემბერს მიიღო დადგენილება, რომლითაც გააუქმა აღნიშნული აქტი, ხოლო ორიოდე კვირაში, 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. სანაცვლოდ ქ.

ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესები გამოცხადდა“. ოლქის გაუქმება, ჩემი აზრით, შეცდომა იყო, რომელსაც კიდევ უფრო დიდი შეცდომა დაემატა - ე.წ. „მარში ცხინვალზე“, ქალაქის ქართული უმრავლესობის დაცვის საბაბით. 1991 წლის იანვარში მხარეებს შორის პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია დაიწყო, რასაც მოჰყვა მსხვერპლი, მძევლების აყვანა, ძარცვა და ქაოსი, რომელიც ერთ წელს გაგრძელდა. ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები მზად იყვნენ ინტერვენციისათვის და რუსეთმაც ღიად დაიჭირა ოსების მხარე. სიტუაცია შეიძლება გადაზრდილიყო ფართო კავკასიურ ომში, თუმცა ამას მოჰყვა სოჭის მოლაპარაკები ელცინსა და შევარდნაძეს შორის, სამშვიდობო ძალების ჩადგომა კონფლიქტის ზონაში და საომარი მოქმედებების შეწყვეტა.

ზემოთ ჩვენ გავეცანით სვანტე კორნელის პოზიციას იმის თაობაზე, რომ კავკასიის რეგიონის ხუთივე კონფლიქტი (ყარაბაღი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ინგუშეთი-ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩნეთი - რუსეთი) ეთნოპოლიტიკური შინაარსისაა. ისინი არ შეიცავდა იდეოლოგიურ კომპონენტს და ეკონომიკური ფაქტორი მხოლოდ კონფლიქტის ხელის შემწყობად გვევლინებოდა. მიზეზი კონფლიქტისა, რომელიც გარკვეული ტერიტორიის კონტროლის ირგვლივ იმართება, არის ეთნიკურობა, მეტოქეობა სხვა ეთნიკური ერთობასთან და შიში იმისა, რომ შენზე იბატონებენ სხვა ჯგუფის წევრები. ამ თვალსაზრისით, კონფლიქტების მთავარი განმსაზღვრელი თავდაცვის პრობლემაა, რომელიც შიშს ეფუძნება. სვანტე კორნელისთვის ეს არის ურთიერთდაპირისპირებული ეთნიკური ერთობების შიგნით არსებული ნაციონალიზმის გამოვლინება. ამ ტიპის კონფლიქტებს შეიძლება ეწოდოს პოლიტიზებულ ეთნიკურობაზე დამყარებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები. ამ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებში რელიგია ხშირად ასრულებს ორი ერთობის გამმიჯნავი ფაქტორის როლს. რელიგიური აღმსარებლობა შეიძლება იქცეს კონფლიქტის დამძიმების დამატებით ფაქტორად, მაგრამ ის არ ყოფილა გამომწვევი მიზეზი ზემოაღნიშნულ კონფლიქტებში. [50]

ორი ავტონომიური წარმონაქმნის გარშემო არსებული ფაქტობრივი გარემოებების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია დავინახოთ ის იდეოლოგიური ხედვა და ემოციური ფონი, რომელიც თან ახლდა ყველა მოვლენას მაშინ და დიდი დოზით ახლავს დღესაც საქართველოს ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს და გამოწვევებს.

1989 წლის 21-25 ივნისს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა „სახალხო ფრონტის“ ყრილობა, რომლის მონაწილე გახლდით და ჩემი ერთ-ერთი სტატია „მერაბ მამადაშვილის ერთი მეტად ცნობილი გამონათქვამის შესახებ“, სწორედ ამ ყრილობით იყო ინსპირირებული. ამ ყრილობაზე ნათელი გახდა საქართველოში ნაციონალურ პოლიტიკასთან მიმართებაში ორი დაპირისპირებული ბანაკის არსებობა და ამ ბანაკების პოლარიზაციის სიღრმე.

1989 წელს კომუნისტურ რეჟიმი უკვე აგონიაში იყო, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, პირიქით, აღმავლობას განიცდიდა. ფილარმონიის სავსე დარბაზი საოცრად დამუხტული და ეგზალტირებული იყო. მერაბ მამარდაშვილი ტრიბუნიდან, მისთვის ჩვეული, აუჩქარებელი მანერით ეუბნება დარბაზს: არსებობს უზენაესი, აბსოლუტური ღირებულება - ჭეშმარიტება, რომელიც ჩემთვის ყველა სხვა ღირებულებაზე, მათ შორის ისეთზე, როგორიც სამშობლოს სიყვარულია, მაღლა დგას. ეს ძირეული ქრისტიანული მიდგომაა. ეს თეზა მას არაერთხელ გამოუთქვამს თავის ნაშრომებში, მაგრამ ამ თეზის გაცილებით უფრო „სახიფათო“ გაგრძელება მე პირველად მხოლოდ ამ გამოსვლაში მოვისმინე: და თუ მე დავინახავ, რომ ჩემი ერი მიდის ჭეშმარიტების წინააღმდეგ, მე დავუპირისპირდები ჩემს ერს... დელეგატთა ნაწილმა ფილოსოფოსს მხურვალე ტაში დაუკრა, მეორემ კი (შეიძლება რიცხობრივად უფრო მეტმა) – აღშფოთებულმა დაუსტვინა. მამარდაშვილის გამოსვლის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც მამარდაშვილის ამ გამოსვლისადმი ჩემი დადებითი განწყობის გაზიარება ფილოსოფოს რობერტ პეტრიაშვილთან ვცადე. მისი რეაქცია ჩემთვის

მოულოდნელი აღმოჩნდა.... როდესაც სამშობლო განსაცდელშია, როდესაც სამშობლოს უჭირს, მაშინ სამშობლოს ინტერესები ჭეშმარიტებაზე მაღლა უნდა დააყენო, განმიცხადა მან. მოგეხსენებათ, იმდროინდელი საქართველოსთვის სწორედ ასეთი პერიოდი იდგა. მე დღესაც არ ვარ მზად აბსოლუტურად უარვყო ამ თვალსაზრისის მართებულობა, მაგრამ უკვე მაშინ, 30 წლის წინ, ჩემთვის ნათელი გახდა ის გარემოება, რომ ყოველთვის იარსებებს მსოფლმხედველობრივი წყალგამყოფი მერაბ მამარდაშვილსა და იმათ შორის, ვინც ამა თუ იმ გარემოებათა გამო გარკვეულ ღირებულებას ჭეშმარიტებაზე მაღლა დააყენებს... მიმაჩნია, რომ ეს წყალგამყოფი დღესაც არსებობს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში ნაციონალურ საკითხზე.

ეკუთვნის თუ არა მერაბ მამარდაშვილს პირველობა ჭეშმარიტებისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების საკითხის დასმაში? ბუნებრივია, არა. ჭეშმარიტებისა და სამშობლოს ინტერესების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი დღეს ისეთივე აქტუალურია, როგორც ის ბიბლიურ დროში იყო. სწორედ ბიბლიის ფურცლებზე შეგვიძლია წავიკითხოთ ამ ურთიერთმიმართებაზე. თვითონ მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავს, რომ ეს ბიბლიური, ქრისტიანული ჭეშმარიტებაა. მათ შორის, გარკვეულ პირობებში, საკუთარი ერის წინააღმდეგ გალაშქრება... მერაბ მამარდაშვილის ფენომენი ისაა, რომ ჭეშმარიტებისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების საკითხის ნათლად და ხმამაღლად დასმა ქართულ სინამდვილეში სწორედ მას ერგო წილად (და სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პრობლემის გადმოცემა, გააზრება დილემით - ჭეშმარიტება თუ პატრიოტიზმი - არ არის ბოლომდე კორექტული და ამახინჯებს მერაბ მამარდაშვილის აზრს. იგი ერთმანეთს უპირისპირებს არა ჭეშმარიტებას და, ზოგადად, ერის ინტერესებს, არამედ ჭეშმარიტებას და ერის „მოჩვენებით“ ინტერესებს. საბოოლოდ, **ჭეშმარიტება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სამშობლოს ინტერესებს, ის შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მხოლოდ სამშობლოს „მოჩვენებით“**

ინტერესებს. ამ განმარტების გარეშე ოპოზიცია „ჭეშმარიტება თუ პატრიოტიზმი“ არაკორექტულად ჟღერს. მერაბ მამარდაშვილის ნააზრევის კონტექსტიდან გამომდინარე, უფრო მართებული იქნებოდა შემდეგი ოპოზიციების გამოყენება: „ჭეშმარიტება და პატრიოტიზმი“, „ჭეშმარიტება და ქვეყნის რეალური ინტერესები“, „ჭეშმარიტება და ურაპატრიოტიზმი“. მას მიაჩნდა, რომ ადამიანები განვსხვავდებით ერთმანეთისგან ეროვნებით, კულტურით, სახელმწიფოებით, ხოლო ვემსგავსებით ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც ყოველ ჩვენგანში არსებობს პიროვნება, რომელიც შინაგანად უნივერსალურია. „იროკეზთან მე, შეიძლება, მაკავშირებდეს მხოლოდ ის, რომ ჩვენში, ორივეში, ალაპარაკდა პიროვნება, ამ შემთხვევაში, ჩვენ ვართ ადამიანები, უნივერსალური არსებები. უშუალოდ იროკეზული იროკეზში არის არა პიროვნული, არამედ ის, რაც მას ჩემგან განასხვავებს.“ [51] მაგრამ რა პირობებში „ალაპარაკდება“ უკეთ იროკეზში პიროვნება? მაშინ, როდესაც ის ცხოვრობს თავისუფალი, სრული ცხოვრებით, თავისი მორალური ტრადიციული კანონების მიხედვით, აქვს საშუალება თავის კულტურულ მატრიცაში ორგანული განვითარებისა; თუ მაშინ, როდესაც დაკარგული აქვს ეთნიკური და რელიგიური იდენტობა და ასრულებს არაკვალიფიციურ სამუშაოს რომელიღაც მტვრიან რეზერვაციაში? ამ მხრივ მერაბ მამარდაშვილის ზოგიერთი გამონათქვამი შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ის სათანადოდ ვერ აფასებდა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში კულტურულ-რელიგიური, სახელმწიფოებრივი ფაქტორების მნიშვნელობას. ხომ არ უსწრებს წინ, გარკვეულწილად, ეროვნულის ფორმირება პიროვნულს? ლაპარაკია იმაზე, რომ, მაგალითად, ინგლისს ან საფრანგეთს აქვს გარკვეული „ფორა“ იმ პირობების ჩამოყალიბებაში, რომლებმაც პიროვნული ცნობიერება უნდა შექმნას. „ფორა“ იმ ხალხის, იმ ერების წინაშე, რომლებიც სახელმწიფოებრიობის შექმნის ან აღდგენის ამოცანის წინაშე დგანან („დაგვიანებული ერების“ ფენომენი). ერებისა, რომლებიც ჩვენსავით ხელახლა ბრუნდებიან ისტორიაში. ეს ამოცანა კი მთელი რიგი, მათ შორის

სახელმწიფოებრივი, კულტურული და სულიერი ხასიათის თვისებებისა და ატრიბუტიკის აღდგენა-შეძენას მოითხოვს.

მერაბ მამარდაშვილის ტიპის მოაზროვნეები ბევრს არ უყვარს. არ უყვარს მასას, რომელსაც ისინი აღიზიანებენ და აწუხებენ თავისი შეკითხვებით და თავისი რეფლექსიით, რომელსაც ისინი აღვიძებენ და აიძულებენ ფხიზლად ყოფნას და ამით არღვევენ ობივატელის კომფორტულ ყოფას - გონების ძილის თანდაყოლილ პროდუქტს. სწორედ ძილია კომფორტის მომტანი, სწორედ გონებრივად მიძინებულმა შემიძლია მოვიხსნა პასუხისმგებლობა, სხვას გადავაბარო არჩევანის გაკეთება...

ასეთი მოაზროვნეები არ უყვარს არც ხელისუფლებას, იმიტომ, რომ ისინი სწვდებიან ხელისუფლების განზრახვებს და ამხელენ მის გეგმებსა და საქმიანობას. ამ მხრივ დროში არაფერი შეცვლილა: ჩვენ სიკვდილისთვის გავიმეტეთ სწორედ ის პიროვნება, რომლის მთელი შემოქმედება და მოღვაწეობა ერის გამოღვიძების საქმეს ემსახურებოდა - ილია ჭავჭავაძე: „სულ ძილი, ძილი...“. არც ხელისუფლება და არც მასა არ აპატიებს იმათ, ვინც თავის მიზნად ჭეშმარიტების დამოუკიდებლად ძიებას ისახავს.

მერაბ მამარდაშვილმა თავისი სათქმელი თქვა იმ დროში, როდესაც აღგზნებული ხალხი ეთნიკური ნაციონალიზმის გზას დაადგა (რაც, ვიმეორებ, ძალიან ძვირად დაგვიჯდა). იმ დროში, როდესაც ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად საკმარისი იყო ტრიბუნიდან რამდენიმე რიტუალური ფრაზის ხმამაღლა წარმოთქმა, რასაც მოჰყვებოდა ასევე რიტუალური შეძახილები (ჯოს-ჯოს-ჯოს!).

ქვეყნის ისტორიაში დაბრუნების პროცესი მოდერნიზაციის საუკეთესო გზების ძიებას და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე თავისი ადგილის დამკვიდრებას საჭიროებს. ბოლო წლებში მამარდაშვილისეულმა რეფლექსიამ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე და აქტუალობა შეიძინა. განსაკუთრებით ისეთი მიდგომების ანალიზისას, როგორიცაა: ქვეყნის ეფექტიანი მმართველობა, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ახალ პირობებში, ქვეყნის ერთი-

ანობის შენარჩუნება და სხვ. ჭეშმარიტების სივრცე დღეს ისეთივე ვიწროა, როგორიც ის სახალხო ფრონტის პირველ ყრილობაზე მერაბ მამარდაშვილის გამოსვლისას იყო... სამშობლო ისევ განსაცდელშია, სამშობლოს ისევ უჭირს. გარდამავალმა პერიოდმა საქართველოში ადაპტაცია, უფრო სწორად კი მუტაცია განიცადა და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი თავის ჩარჩოებში მოაქცია. მერაბ მამარდაშვილს იტანენ მხოლოდ მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გამო... ამიტომ მას ახსენებენ, რუსთაველზე დგას მისი ბიუსტი, მაგრამ მას არ კითხულობენ. ეს სიტუაცია მაგონებს ვაჟა ფშაველას შემოქმედებასთან ჩვენს დამოკიდებულებას.

ვაჟას ხედვა ნაციონალურისა და ინდივიდუალურისა, პიროვნების პრიმატისა და განსაკუთრებული მნიშვნელობისა (რაც გადმოცემულია კლასიკურ, „სასკოლო“ პოემებში „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“), მისი ხედვა პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ურთიერთობისა და, მთლიანად, მისი შემოქმედება, - არის საოცარი საფუძველი სწორედ სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებისთვის. ალუდა ხდება დამოუკიდებელი და თავისუფალი პიროვნება მაშინ, როდესაც თავისგან განსხვავებულში დაინახავს ღირსებას და განსაკუთრებულობას, რაც მისთვის ძალიან საინტერესო და ფასეული ხდება. იგივე ეხება ჯოყოლასაც. ვაჟას ადიდებენ, ასწავლიან სკოლაში, პოეტ-ფილოსოფოსს უწოდებენ, მაგრამ ერი არ ცხოვრობს მისი მორალით, მისი ფილოსოფიით. ჩვენ ვაჟას მორალური კოდექსი ჩვენი ცნობიერების პერიფერიაზე მოვათავსეთ და მას [კოდექსს] მხოლოდ რიტუალური პერფორმანსების დროს ვიხსენებთ. [52]

თავის გამოსვლაში ამავე ყრილობაზე ზვიად გამსახურდიამ ყურადღება საქართველოს ავტონომიურ ერთეულებზე გაამახვილა და მათ „უკანონო წარმონაქმნები“ უწოდა. ზვიად გამსახურდია ეწინააღმდეგებოდა სახალხო ფრონტის პროგრამის იმ პუნქტს, სადაც ლაპარაკი იყო ისეთი კონსტიტუციის შემუშავებაზე, რომელიც სრულად გამოხატავდა ქართველი ერისა და რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ერების ინტერესებს. ციტატა მისი გამოს-

ვლიდან: „კვლავ გათანაბრებაა, მეგობრებო. საქართველო არის ქართველების ქვეყანა, ეს აქსიომა უნდა იყოს წარმოდგენილი და არეკლილი ამ პროგრამაში, კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს ქართველი ერის ინტერესებს და, ამავე დროს, ყველა პიროვნების ინტერესებს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის და არა სხვა ერების ინტერესებს, ჩვენ აქ აზერბაიჯანის ინტერესებისთვის არ ვიბრძვით, მეგობრებო, და თუ ვინმე იბრძვის, ის დამარცხდება... “. [53]

ეს და ბევრი სხვა მისი გამოსვლა იმაზე მეტყველებს, რომ ზვიად გამსახურდია ქართველ ერში მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს გულისხმობდა. აზერბაიჯანელების უფლებების დაცვას ის აზერბაიჯანის ინტერესებისთვის ბრძოლასთან აიგივებდა. შევადაროთ მისი ეს გამოსვლა 1790 წელს საფრანგეთის ასამბლეაზე კლერმონტონის ზემოხსენებულ სიტყვებს: „ებრაელს, როგორც ინდივიდს, ჩვენ ვაძლევთ ყველაფერს, ებრაელს, როგორც ებრაელს - არაფერს“. ამ ორ პოზიციას შორის არსებობს თვისებრივი მსგავსება. ზვიად გამსახურდიას აზრით, სახალხო ფრონტი იბრძოდა ეთნიკური ჯგუფების, აფხაზებისა და ოსების დაცვისთვის, რომლებსაც ისედაც ჰყავდათ დამცველი კრემლის სახით. ახლა კი დადგა საკუთარი ინტერესების დაცვის დრო. მაგალითად, სახალხო ფრონტის პროგრამაში, მისი აზრით, არ ჩანდა ქართველი ერის ეროვნული ინტერესები მიწასთან დაკავშირებით, რაც ქართველებს სხვა ჯგუფებთან ათანაბრებდა. ზვიად გამსახურდიას ისიც არ მოსწონდა, რომ სახალხო ფრონტის გაზეთი ორენოვანი იყო. სხვათა შორის, სახალხო ფრონტის პროგრამა არ დაბეჭდილა რუსულ ენაზე, რამაც შეუძლებელი გახადა მისი იდეების გაცნობა მოსახლეობის საკმაოდ დიდი სეგმენტისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურდიას პოზიციები რიგი საკითხებისადმი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიცვალა - მეტი ინკლუზიურობა და სამოქალაქო მახასიათებლები შეიძინა, მაგრამ ბოლომდე რჩებოდა წინააღმდეგობრივად, ეკლექტიკურად და იმპულსურად. მას გაუჭირდა ეროვნული მოძრაობის ლიდერის როლიდან გამოსვლა და ქვეყნის ლიდერად ჩამოყალიბება.

1989 წლის 26 მაისი, ისევ გამსახურდიას ციტატა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, ქრისტიანულ, უძლეველ საქართველოს.“ ეს იყო რელიგიისკენ მიბრუნების ისტორიული მომენტი, როცა რელიგიური რიტორიკა პოლიტიკის ნაწილი და ერის მობილიზაციის ინსტრუმენტი გახდა. მისი შეხედულებები მკვეთრად პრიმორდიალისტურია. ის არ ეთანხმებოდა იდეას, რომ ქართველები ერად მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. მას მიაჩნდა, რომ სამხრეთ ევროპის ავტოქთონი მოსახლეობა იყო პროტოიბერიული, რომელთაგან მომდინარეობენ გვიანდელი ევროპელები. ამ მოდგმას მიეკუთვნებოდა მცირე აზიის დიდი ნაწილი: მესხები (მოსხები), კაბადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვა. გამსახურდიას აზრით, ისინი ყველანი იყვნენ განშტოებები ერთი - ქართველური ანუ პროტოიბერიული მოდგმისა. დღესდღეობით იბერიული მოდგმიდან შემორჩენილია მხოლოდ ორი - პირენეულ-იბერიული (ბასკები) და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართველები. დანარჩენები ასიმილირდნენ ინდოევროპელებთან. ეს ასიმილირება დაიწყო ძვ.წ. მესამე ათასწლეულში, რის შედეგადაც გაძლიერდნენ ხეთური და ელინური სამყაროები. საქართველოს ისტორიულ მისიას ის დასავლური და აღმოსავლური სამყაროების დაკავშირებაში ხედავდა. მისი აზრით, ქრისტიანობის განვითარებაში ძირითად როლს ქართველური მოდგმის ხალხები ასრულებენ და შესაბამისად, მათ უნდა დაიბრუნონ კაცობრიობის სულიერო მოძღვრის პოზიციები. „... ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას“. [54]

ბუნებრივია, ასეთი ირაციონალური ხედვა, მითუმეტეს, როდესაც ის ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნის, იწვევდა დაძაბულობას მრავალეთნიკურ ქვეყანაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა რიტორიკაში ხშირად შევხდებით ტერმინს „საქართველოს კანონიერი მოსახლეობა“, რაც, შესაბამისად, არაკანონიერი მოსახლეობის არსებობას უსვამდა ხაზს. ცნება „ქართველ ერს“ ცალსახად ეთნიკური შინაარსი ჰქონდა და

მასში მხოლოდ ეთნიკური ქართველები იყვნენ ნაგულისხმევი. მსგავსი განწყობები არ იყო მხოლოდ პოლიტიკური ელიტების წარმომადგენელთა კუთვნილება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილი პრიმორდიალისტია, თუმცა ამას არ აღიარებს ან თავის თეორიულ მიდგომას არ უწოდებს პრიმორდიალისტურს.

ზვიად გამსახურდიას მიაჩნდა, რომ ქართველთა უფლებები განსაკუთრებით ირღვეოდა იმ რეგიონებში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ არაქართული მოსახლეობის ეთნოკრატიები დაამყარა. ქართული ენის დაკნინება და რუსულის გაბატონება ხელს უწყობდა ქართველთა დისკრიმინაციას. მისი აზრით, საჭირო იყო საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური განხორციელება. ის არ უარყოფდა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის აუცილებლობას: „ჩვენ არ უგულებელვყოფთ უმცირესობათა უფლებებს, რომელნიც კანონიერად მკვიდრობენ ჩვენს მიწა-წყალზე და ხელს უწყობენ ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ამასთან დაკავშირებით განზრახული გვაქვს, საქართველოში შევინარჩუნოთ ეროვნულ უმცირესობათა არსებული ავტონომიები...“. ამას ზვიად გამსახურდია უკვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სტატუსში ამბობს. მაგრამ, მთლიანობაში, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მისი რიტორიკა და ლექსიკა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში იწვევდა შიშს და არასტაბილურობის შეგრძნებას.

სამწუხაროდ, სიტყვა „თათარი“ დღემდე გამოიყენება საქართველოში მუსლიმი ქართველების (აჭარლების) მიმართ. ამავე დროს, აჭარაში დღესაც იყენებენ სიტყვა „ქართველს“ არააჭარელთან მიმართებაში. სიტყვა „ქართველი“ არამეგრელის მნიშვნელობით დღემდე შეხვდებით სამეგრელოს სოფლებშიც. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ჯერ კიდევ არაშეკრებილი ერი ვართ? ეროვნული ერთიანობის ქართული მოდელი არ აღმოცენებულა სეკუ-

ლარულ პრინციპებზე, სხვადასხვა მიზეზთა გამო მასში ძლიერად იყო წარმოდგენილი რელიგიური განზომილება. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ცდილობდა მუსლიმთა მიმართ შიშების გაფანტვას. სოციალურ და საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართვით, ილია ცდილობდა ადგილობრივი მუსლიმების ნდობისა და სიმპათიის მოპოვებას. ილიას შემდეგ თითქმის ასი წელი გავიდა... ბათუმელ ანთროპოლოგს თამთა ხალვაშს მოჰყავს თავისი დედის მოგონება, რომელსაც მთლიანად შემოგთავაზებთ: "როცა 1970 წელს თბილისის სკოლაში დავიწყე სიარული, პირველად გავაცნობიერე, რომ დედაქალაქში აჭარლებს სხვანაირად აღიქვამდნენ. როცა კლასში ვთქვი, რომ აჭარიდან ვიყავი, ერთ-ერთმა მასწავლებელმა ნახევრად ხუმრობით მითხრა, „ესე იგი თათარიო". ისიც კი მახსოვს, როგორ მკითხა ერთმა ჩემმა თანაკლასელმა, აჭარაში ქართულად თუ ლაპარაკობენო. ეს ჩემთვის ძალიან უსიამოვნო აღმოჩენა იყო. ბავშვობიდან იმ ცნობიერებით ვიზრდებოდი, რომ ქართველი ვიყავი, მაგრამ მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ყველა ასე არ ფიქრობდა. ამიტომაც ბავშვობაში ვცდილობდი, დამემალა, რომ აჭარიდან ვიყავი. მრცხვენოდა მეთქვა, რომ აჭარელი ვარ".

1950 წლამდე, აჭარაში კომუნისტური პარტიის არცერთი მდივანი წარმოშობით აჭარელი არ ყოფილა. იმისათვის, რომ საბჭოთა საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გამხდარიყვნენ, აჭარელი მუსლიმები იძულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ საკუთარ მუსლიმურ ტრადიციებსა და იდენტობაზე.

1989 წელს ბათუმში ერთ-ერთ აქციაზე, ზვიად გამსახურდიამ დამსწრე საზოგადოებას შემდეგნაირად მიმართა: "აჭარლებო, თქვენც ქართველები ხართ!" ამ, ერთი შეხედვით, უწყინარმა ფრაზამ, საზოგადოებაში საყოველთაო დაბნეულობა და აღშფოთება გამოიწვია. წლები დაგვჭირდა მაშინდელი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს აჭარაში ამ ფრაზით გამოწვეული წყენისა და უხერხულობის ჩაცხრობისთვის.

1990-იანი წლებიდან, საბჭოთა სეკულარული პროექტი ქრისტიანული ნაციონალიზმით ჩანაცვლდა. საქართველოში ქართველობა მართლმადიდებლობას გაუთანაბრდა, რომლის დრო-

საც აჭარლების მუსლიმობამ კიდევ უფრო მეტი პრობლემურობა შეიძინა. რადგანაც ეროვნულობა კონკრეტულ რელიგიურ იდენტობას გულისხმობდა, კონკრეტული ისტორიებითა და კულტურული ფორმებით, პოსტ-საბჭოთა აჭარაში ისლამი და ოსმალური მემკვიდრეობა ისევ არასასურველ „გადმონაშთებად“ ჩაითვალა. [55]

ქართველი მუსლიმებისთვის მუსლიმური რელიგიური დღესასწაულების მილოცვა დღესაც მიუღებელია ბევრი მართლმადიდებლისთვის. ასევე, ბევრი იზიარებს მოსაზრებას, რომ რწმენით მუსლიმი ვერ ჩაითვლება ქართველად.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამოქალაქო ერის ფორმატში გადასვლისთვის ბევრი რამ გაკეთდა სამართლებრივი თვალსაზრისით. 1991 წლის ივლისში მიღებული მოქალაქეობის კანონის მიხედვით, მოქალაქეობა მიენიჭა რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, მიუხედავად ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობისა. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილებს ასევე ენიჭებოდათ საქართველოს მოქალაქეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ლატვიასა და ესტონეთში მოქალაქეობაზე მიღებული კანონები თავისი დემოკრატიულობით ჩამორჩებოდნენ ამ კანონს.

1991 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის წინ ზვიად გამსახურდია თავის მიმართვაში აფხაზი ხალხისადმი აღიარებს აფხაზი ხალხის „ეროვნულ და კულტურულ უფლებებს, სახელმწიფოებრიობას, ენას, კულტურას, აფხაზურ სკოლას, თეატრს“. 1991 წლის 9 ივლისს მიღებულ კანონში „აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ეთნიკურ აფხაზებს დაეთმო 28 ადგილი (17% მოსახლეობისა), ქართველებს - 26 ადგილი (46% მოსახლეობისა). ამ მიდგომის გამო, რომელსაც ზოგიერთმა „აპართეიდული“ უწოდა, ზიად გამსახურდიას ბევრი აკრიტიკებდა. უნდა ითქვას, რომ შეიძლება ამგვარი გადაწყვეტილებების და შეცვლილი რიტორიკის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, საქართველოს დამოუკიდებლობას არაქართული მოსახლეობის უმეტესობამ დაუჭირა მხარი.

მაგრამ ამით საქართველოს ერთიანობის შენარჩუნება მაინც ვერ მოხერხდა და წინააღმდეგობებით და რადიკალიზმით გაჟღენთილი გამსახურდიას ეპოქა სამოქალაქო ომით დასრულდა. ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა მარცხი განიცადა. საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, პოლიტიკურმა თუ ინტელექტუალურმა ელიტამ ვერ შეძლო ქვეყნის მშვიდობიანი გარდაქმნის უზრუნველყოფა.

ერთიანობის შენარჩუნება სერიოზულ შიდა გამოწვევად რჩება დღესაც და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. სერიოზული გამოწვევაა ეს საკითხი ისეთი ტიპის ქვეყნებისთვისაც, როგორიცაა კანადა, ესპანეთი, ბელგია, იტალია, დიდი ბრიტანეთი. მითუმეტეს ძნელია ამ გამოწვევაზე ადეკვატური პასუხის გაცემა საქართველოსთვის, თუნდაც მისი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის ხანმოკლეობის გამო. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დე ფაქტო გამოეყო საქართველოს 1990-93 წლებში. ორივე კონფლიქტმა მცირე სამოქალაქო ომი გამოიწვია, რომელშიც, ვიმეორებ, საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება დამარცხდა. 2008 წლის ომს მე ამ კონფლიქტების გაგრძელებად მივიჩნევ. უბრალოდ, აქ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა მესამე დაინტერესებული მხარის - რუსეთის პოზიციები.

ამ ორი კონფლიქტის ორივე სტადიამ, 1991-93 და 2008, წარმოშვა იძულებით გადაადგილებული პირების ურთულესი ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პრობლემა. კონფლიქტებს სერიოზული გავლენა ჰქონდა და დღესაც აქვს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველო გაცილებით შორს დგას კონფლიქტების დარეგულირებისგან, ვიდრე 25-30 წლის წინ. ამის მიზეზი ისიცაა, რომ რუსეთმა აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. და ეს - მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის, სააკაშვილისა და ქართული ოცნების პერიოდებში გაგრძელდა სამოქალაქო ერის მშენებლობის მცდელობები.

1993 წლის 23 მარტს ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ ხელახლა მიიღო ინკლუზიური კანონი მოქალაქეობის შესახებ,

რომელიც ასევე ლიბერალურ ხასიათს ატარებდა. კანონი არ ითვალისწინებდა ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა სახელმწიფო ენისა თუ ქვეყნის ისტორიის ცოდნა. 1995 წლის კონსტიტუციამ ოფიციალურ ქართულ ნაციონალურ პროექტს საბოლოოდ მისცა სეკულარული ხასიათი. აღიარებულ იქნა რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება და, ამავე დროს, - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში. აღიარებულ იქნა, აგრეთვე, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის პრინციპი. არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ცალკე თავად არსებობა-არარსებობის საკითხზე. საბოლოოდ (განსხვავებით 1921 წლის კონსტიტუციისაგან) სპეციალური მუხლი უმცირესობებს არ დაეთმო. სხვადასხვა დებულებებში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია, განურჩევლად სხვადასხვა სახის მიკუთვნებულობისა. ასეთი მიდგომა ეწერება ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ხასიათში. ცალკეული ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის არ გამოყოფით, ხელისუფლებამ დაადასტურა საკუთარი მოქალაქეების საყოველთაო თანასწორობა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კონსტიტუციას, კონსტიტუციურ ნორმებს არ გააჩნია საქართველოში ისეთივე საკრალური მნიშვნელობა, როგორც კონსოლიდირებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც კანონის უზენაესობა პოლიტიკური ცხოვრების საფუძველია. ჩვენი ტიპის საზოგადოებებში მთავარია არა კანონი, არამედ დამოკიდებულება კანონთან. ჩვენ მიჩვეული ვართ ცხოვრებას ორი სიმართლის პირობებში, ორი რეალობის - დაწერილის და დაუწერლის, ოფიციალურისა და არაოფიციალურის. თუმცა ეს არ უარყოფს კარგი კონსტიტუციისა და კარგი კანონების არსებობის მნიშვნელობას და ღირებულებას.

1999 წლის 14 იანვარი - მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობებიდან ამოიღეს ეთნიკური მიკუთვნებულობის აღმნიშვნელი გრაფა, რამაც პროტესტის დიდი ტალღა გამოიწვია. გურამ შარაძე ეროვნული რეკვიზიტების ამოღებას საქართველოს „კოსმოპოლიტიზმის საცდელ პოლიგონზე გასვლას“ ადარებდა.

ენის საკითხი. ენობრივი პოლიტიკა. განათლების საკითხი

ეროვნული სიცხადე არის საკუთარი თავის აგება ერთდროულად ენით და ენაში. ენა ყველაზე მძაფრი იდენტობაა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს თავის შემოქმედებით უნარებთან და ფესვებთან აკავშირებს. ამიტომ ენა უნდა განვიხილოთ, როგორც მთელის აგების, ჩვენი სამყაროს, როგორც მთლიანის შექმნის შემოქმედებითი მუხტი, ნება და პოტენცია. ზაზა ფირალიშვილის აზრით, ჩვენი სოციალურ-კულტურული სისტემა სემანტიკურად კონსტრუირდება. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ენა და ენობრივი აქტივობა არის სინამდვილის, სამყაროს არა უბრალო გამოსახულება (სარკე), არამედ, ახალი სინამდვილის, ახალი სამყაროების შექმნის მექანიზმი.

ჩარლზ პირს მიაჩნდა, რომ ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება, ყოველი წიგნი სიმბოლოა. სიმბოლოს ერთ-ერთი ღირებულება კი იმაშია, რომ ის იძლევა მომავლის წინასწარმეტყველების საშუალებას. ხშირად სწორედ მომავლის ორი განსხვავებული ხედვაა, სურენ ზოლიანის აზრით კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი. მომავლის ხედვები ხშირად აწმყოში წარსულის რესტავრაციაა. ისინი წარმოადგენს აღდგენას საქმეთა „სწორი“ მდგომარეობისა, რომელიც წარსულში დარღვეული იყო. ეს არის კონფლიქტის ერთგვარი სემანტიკა. ანუ, „სწორი“ წინაისტორიის საფუძველზე იქმნება სასურველი მომავალი. წარსულის კონსტრუირება, მისი ნარაცია კი ყველაზე კარგად მშობლიურ ენაზე ხდება. [56] აქ არის დამარხული ენობრივი პოლიტიკის პრობლემურობის ძაღლის თავი. საქმე გვაქვს ენობრივი პოლიტიკის ერთგვარ სცილასა და ქარიბდას ფენომენთან. ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენაზე ნარაცია ხელს უწყობს მათ ეთნიკურ და ეროვნულ მობილიზებას, წარსულის და მომავლის სათანადო, „სწორ“ კონსტრუირებას, რომელიც ხშირად არ ემთხვევა დომინანტი ერის წარსულისა და მომავლის ხედვებს. აქედან დომინანტი ერის შიშები... ხომ არ ნიშნავს ეროვნული უმცირესობის ენების მხარდაჭერა ეროვნული

უმცირესობების საკუთარი, ხშირად ქვეყნის ისტორიის „ოფიციალური“ ვერსიისგან განსხვავებული ვერსიების მხარდაჭერას? მეორე მხრივ, უმცირესობის ენების იგნორირებამ, შეიძლება დესტრუქციული პოტენციალის ზრდას შეუწყოს ხელი.

ენობრივ პოლიტიკაზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ზოგადად განთლების სისტემის მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, ყველაზე მასობრივ ნარატივს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელო წარმოადგენს. ხშირად, კონფლიქტებსა და აგრესიას სწორედ სახელმძღვანელოებში მოყვანილი ისტორიულ-პოლიტიკურ მითები კვებავენ. გავიხსენოთ ერნესტ რენანის სიტყვები: „დავიწყება, უფრო სწორად, ისტორიული სიცრუე, წარმოადგენს ერის შექმნის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს“. ზაზა ფირალიშვილის აზრით, თანამედროვე სახელმწიფომ მოწაფეს უნდა შესთავაზოს ერთგვარი ფორმალიზებული ინტელექტუალური გარემო, რომელშიც მოწაფე სხვებთან ერთად შეძლებს მოძრაობას (მოწესრიგებულ დიალოგში, პოლემიკაში შესვლას). ინდივიდი უნდა ეზიაროს იმ პარადიგმებს, რომლებიც მას საზოგადოებაში ფუნქციონალურსა და კომუნიკაბელურს გახდის. წინააღმდეგ შემთხვევაში კულტურა, ზნეობა და რელიგია იმ დესტრუქციული პოტენციალის მსხვერპლად შეიძლება იქცეს, რომელიც ჰერმეტულობისა და თვითდაკონსერვებისადმი მისწრაფებაში იმალება. [57]

მერაბ მამარდაშვილისთვის ადამიანი მუდმივად საკუთარი თავის ფორმირების პროცესშია. შესაბამისად, ისტორიაც ადამიანად გახდომის მცდელობის ისტორიაა. „ადამიანი არ არსებობს, იგი იქმნება“. ამ ქმნადობის გზაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ახალი, მოდერნული, თანამედროვე ბარბაროსობა, რომელსაც შეიძლება კულტურული ბარბაროსობაც ვუწოდოთ. შეუძლებლობა მშობლიურ ენაზე გამოხატო შენი შინაგანი სამყარო, მიიღო სათანადო განათლება, იყო ფორმალიზებული ინტელექტუალური გარემოს ნაწილი, წევრი, რაც ფუნქციონალურობის მიმნიჭებელია, - კულტურული ბარბაროსობის გავრცელებას უწყობს ხელს. განათლება ასრულებს წარმმართველ როლს დემოკრატიული სა-

ზოგადოების ჩამოყალიბებაში. უცოდინრობის, სტერეოტიპების, შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერნესტ გელნერი აღწერს ინდუსტრიული, მოდერნული საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს: წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება, ტექნიკურ-არითმეტიკული და ზოგადი ცოდნის მაღალი დონე. ამ საზოგადოების წევრებს მობილობა მოეთხოვებათ, ისინი მუდამ მზად უნდა იყვნენ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად. ისინი საერთო ელემენტარულ განათლებას უნდა ფლობდნენ, რომელიც მათ ახალი მოვალეობების შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების დაუფლების საშუალებას მისცემს. მუშაობისას მათ ბევრ უცნობ ადამიანთან კონტაქტების დამყარების უნარი მოეთხოვებათ. მათ უნდა შეძლონ არაპერსონალური, კონტექსტისაგან თავისუფალი წერილობითი გზავნილებით ურთიერთობა. შესაბამისად, ეს კომუნიკაციები ზოგადი, სტანდარტული ენობრივი საშუალებით უნდა სრულდებოდეს. სოციალური მიღწევების გარანტია, რომელსაც საგანმანათლებლო სისტემა წარმოადგენს, ფართოვდება და აუცილებელი ხდება. დღეს ადამიანების უმეტესობის შემოსავალი, სტატუსი, უსაფრთხოება და თავმოყვარეობა, მათსავე განათლებაზეა დამოკიდებული. იმ კულტურის საზღვრები, რომელშიც მათ განათლება მიიღეს, იმ სამყაროს საზღვრებს ემთხვევა, რომელშიც მათ საკუთარი თავის პროფესიონალური თუ მორალური თვალსაზრისით დაკმაყოფილება შეუძლია. ადამიანისთვის განათლება მისი ყველაზე ძვირფასი ინვესტიციაა და, საბოლოოდ, მას საკუთარ იდენტობას ანიჭებს. ერნესტ გელნერი თანამედროვე ადამიანს „მამლუქს“ უწოდებს. თანამედროვე ადამიანს ნათესაურ ჯგუფებთან განსაკუთრებული აღარაფერი აკავშირებს. ასევე, აღარც ნათესაური ჯგუფები დგანან მასა და კულტურით განსაზღვრულ ანონიმურ საზოგადოებას შორის. ინდუსტრიულ ადამიანს სკოლიდან მიღებული კულტურა ანიჭებს საზოგადოებისთვის აუცილებელი პიროვნების სტატუსს. ბუნებრივია, უაზრობა იქნებოდა, თავი მოგვეტყუებინა, თითქოს წარმომავლობას, სიმდიდრესა და გარკვეულ

კავშირებს თანამედროვე საზოგადოებისთვის მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა პრივილეგიებს დღეს ნაკლებად უწევენ აფიშირებას და, თანაც, მისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

ადამიანი დღეს ისეთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს უნდა იძენდეს, რომელიც მას საზოგადოებაში ადგილის დაკავების საშუალებას აძლევს, და რომელიც მას იმად ხდის, „რაც ის არის". მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია იტვირთოს ეს ფუნქცია და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, აკონტროლოს ეს უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტი - სკოლა. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, მოგვცეს გარანტია, რომ მისი საგანმანათლებლო პროდუქცია მდარე ხარისხის არ არის. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც საგანმანათლებლო მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილები კერძო ან რელიგიურ ორგანიზაციათა ხელშია, სიცოცხლისუნარიანი და გამოსადეგი ადამიანების შექმნაზე კონტროლს მაინც საელმწიფო ახორციელებს (ან უნდა ახორციელებდეს). იყო დრო, როდესაც ადამიანს სოფელი ან კლანი ქმნიდა. ის დრო უკვე წავიდა, წავიდა სამუდამოდ. აგრარული ხანის ადამიანი შეიძლება შევადაროთ მცენარეთა ნებისმიერ სახეობას, რომელსაც ბუნებრივ გარემოში გადარჩენა შეუძლია. ინდუსტრიული ადამიანი კი უნდა შეედაროს ხელოვნურად შექმნილ ან გამოყვანილ სახეობებს, რომელსაც გადარჩენა და ნორმალურად სუნთქვა მხოლოდ ხელოვნურად გაჯერებულ, სპეციალურად შექმნილ ჰაერსა თუ პირობებში ძალუძს. ამ „ხელოვნური სახეობის ადამიანის" შექმნა, - აღნიშნავს ერნესტ გელნერი, - ეროვნული საგანმანათლებლო და კომუნიკაციური სისტემების პრეროგატივაა. გარკვეული სტანდარტის მიღწევა მხოლოდ უკიდურესად მონოლითური საგანმანათლებლო სისტემით შეიძლება. მისი ერთადერთი ეფექტიანი შემქმნელი, შემნარჩუნებელი და დამცველი კი, როგორც უკვე ვთქვით, სახელმწიფოა. მხოლოდ მას შეუძლია, უზრუნველყოს განათლებასთან და კულტურასთან ზიარების თანასწორობა. [58]

ზემოთ მოგახსენეთ გიგი თევზაძის „დიდი იდენტობის" კონცეფციაზე. გიგი თევზაძის აზრით, ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი,

ვივარაუდოთ, რომ „დიდი იდენტობა“, როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენი, მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შესაძლებელი გახდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანების დიდ ჯგუფებში კონკრეტული იდეებისა და წარმოდგენების კომპლექსის უცვლელად და უდანაკარგოდ გავრცელება/დანერგვა, ანუ მას შემდეგ, რაც წარმოიშვა უნიფიცირებული, ერთიანი განათლების სისტემა და მასმედია. მხოლოდ მასმედიის და განათლების სისტემის საშუალებითაა შესაძლებელი, იდეებისა და წარმოდგენების სისტემა ყოველი მოქალაქისათვის საერთო, ძვირფასი და შეუცვლელი გახადო.

დასკვნის სახით
რთული პოლიფონია VERSUS კონსენსუსი

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც მცირე გადახრა ნაციონალიზმისკენ შესაძლოა დღეს არჩევნებში წარმატებას უზრუნველყოფდეს...

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც საქართველოს თავისი ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბება და რაციონალური სტრატეგიული პოლიტიკის გატარება რთულ გეოპოლიტიკურ პირობებში უხდებოდა და უხდება.

ჩვენ ვრჩებით არაგარანტირებული დემოკრატიის საზოგადოებად, რომელშიც დემოკრატიული ფასეულობები თანაარსებობს ტრადიციულ ფასეულობებთან და რომელშიც არსებობს სინკრეტული ტიპის კლასტერები თავისი ტრადიციული, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ელემენტებით, ქცევის ნორმებით. ეს გარემოება ქვეყნის განვითარების შესაძლებლობას განაპირობებს, მათ შორის არასასურველი მიმართულებითაც.

თანამედროვე გლობალისტური ტენდენციები, იმ ფონზე, როცა ცივილიზაციების, კულტურებისა და რელიგიების კონფრონტაცია არ შესუსტებულა, - კიდევ ერთხელ მოწმობენ იმ აზრის მართებულობას, რომ მხოლოდ კულტურის ღიაობა, აზროვნების თანამედროვე ლოგიკის ათვისება და ქვეყნის მშენებლობაში რაციონალური, სტრატეგიული მიდგომები უზრუნველყოფს ამა თუ იმ საზოგადოების ღირსეულ ადგილს სამყაროში. მოწმობენ იმას, რომ ქვეყნის მოდერნიზაციის კომპლექსური მოდელი მოითხოვს მოსახლეობის ყველა შემადგენელი ნაწილის (ეროვნული უმცირესობები, ეთნოსები, სუბეთნოსები და სხვ.) ეთნოკულტურული, ეთნოფსიქოლოგიური, ისტორიული, მენტალური და სხვა ტიპის თავისებურებების, სპეციფიკურის შესწავლას და გათვალისწინებას. ნებისმიერი ეთნოსი ფლობს სამყაროს ინტერპრეტაციის საკუთარ სქემას, საკუთარ სიმბოლურ ველს, რომელიც კარდინალურად განსაზღვრავს მისი ქცევითი კოორდინატების მატრიცას. ამ

მატრიცის ირაციონალურობა კვებავს, მათ შორის მეზობლებზე კულტურული უპირატესობის კომპლექსს. საერთოდ, კავკასიურ საზოგადოებებში გავრცელებულია უარყოფითი თვითიდენტიფიკაცია - „ვინ არ ვარ მე“, უცხოს სახის მეშვეობით.

ტრავმატული ცნობიერების გამო, ქართველთა დროებითი ვექტორი, როგორც ამაზე ზემოთ უკვე ვწერდით, მიმართულია იდეალიზებული და მითოლოგიზებული წარსულისაკენ. წარსულის მუდმივი რეპროდუქციის მცდელობების გამო ჩვენ გვიჭირს მოდერნიზება, გვიჭირს დროსთან და ეპოქასთან შესატყვისობა. ჩვენ ვერ გავდივართ შუასაუკუნეობრივი აზროვნების, სახელმწიფოს მშენებლობის შუასაუკუნეობრივი პარადიგმის ჩარჩოებიდან, - ნაციონალური მითოლოგიზებული ნარატივის მეშვეობით, როდესაც პოლიტიკის საფუძვლად ცხადდება გარკვეული მითოლოგიური, რელიგიური, ტრანსცენდენტური საწყისები. მითი არის ის, რაც არასდროს ყოფილა, არასდროს იქნება, მაგრამ ყოველთვის არსებობს. ნაციონალური მითოლოგია არის ნაციონალური იდენტობის საფუძველი, არის რეალობა, რომელიც აღიქმება არა კოგნიტიურ, რაციონალურ, არამედ გრძნობების, სურვილების, ოცნებების დონეზე. მითი უძლეველია, რადგან ლოგიკას არ ძალუძს, სძლიოს ემოციას. ეთნიკურ-რელიგიურ-მითოლოგიური დიქტატი, როგორც ამ რეალობის შედეგი, არის ჩვენი მსოფლაღქმის კონსტანტა. ასე, მაგალითად, რელიგიათაშორისო თემაზე საზოგადოებაში დომინირებენ მითოლოგიური და ყოფითი წარმოდგენები. ოფიციალურ დონეზე კი ხშირია პოლიტიკურ-დიპლომატიური ეკვილიბრისტიკა. ზოგადად, ეს თემა დისკურსულ დონეზე ჯერ კიდევ ტაბუირებულია. ეთნოკულტურული ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ისტორიული საზოგადოებებისთვის“, რომლებშიც კულტურა დომინანტურ როლს ასრულებს, განსხვავებით „პოსტინდუსტრიული საზოგადოებებისგან“, სადაც კულტურა „მოშინაურებულია“ სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუციებით, სამართლით, აბსტრაქტული, ფორმალური ნორმებისა და ურთიერთობების მეშვეობით. ბუნებრივია, კულტურული კონტექსტის ანა-

ლიზი არ უნდა იწვევდეს კულტურული სტერეოტიპების დიქტატს.

საქართველოში სამოქალაქო ერის ჩამოყალიბების აუცილებლობას, გარდა ორი „გაყინული კონფლიქტისა“, ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა განაპირობებს. იმაზე, თუ როგორ წარიმართება ინტერრელიგიური და ინტერნაციონალური ურთიერთობები საქართველოში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზოგადი სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში და, შეიძლება ითქვას, ზოგადად, კავკასიაში.

პრობლემების სათანადოდ შესწავლა და ამის საფუძველზე სათანადო ქმედითი სტრატეგიული პოლიტიკის გატარება მოითხოვს პოლიტიკურ ნებას, ინტელექტუალურ რესურსს და სოციალურ შეკვეთას, უპირველეს ყოვლისა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

რითული პოლიოთონიაში (განსხვავებით იმიფდაციური პოლიოთონიისგან), ერთიანა და იმავე ლირის ცრფულლებზ განსხვავებული მელოლეიები და (ან) ერერრ განსხვავებული ხმები. ცწორედ რითული პოლიოთონია ნიშნავს მრავალხმიანობას, ნიშნავს ნამღერი ლიალოგს.

დასასრულს, მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს. ერთი მხრივ, არსებობს ყოვლად ლეგიტიმური მოსაზრება, რომ წარმატებული კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ კულტურებს შორის, რომლებიც იზიარებენ ფასეულობათა მეტნაკლებად მსგავს სისტემებს. მათ შორის ამიტომაც, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური პრობლემების გადაჭრის ხედვებში დომინირებს კონსენსუსის მიღწევის პოზიცია და მიდგომა - საერთოს, ერთნაირის, გამაერთიანებელი ელემენტების მოძიების მეშვეობით. ეს მიდგომა, ბუნებრივია, ღირებულია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს შეთანხმების (და პრობლემის გადალახვის) უფრო ღრმა და ხშირად უფრო ქმედითი გზა, მიდგომა. ეს არის გზა, როდესაც შენ მშვიდობიანად, უკონფლიქტოდ შეგიძლია თანაცხოვრება და თანამშრომლობა განსხვავებულ ეთნოსთან, კულტურასთან, რელიგიასთან ან ადამიანთან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე

გვაქვს ურთიერთსაპირისპირო ჭეშმარიტებებთან და ფასეულობებთან. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კონსენსუსი შეუძლებელია („ტოლმის ომი“).

რთულ პოლიფონიაში (განსხვავებით იმიტაციური პოლიფონიისგან), ერთსა და იმავე დროს სრულდება განსხვავებული მელოდიები და (ან) ჟღერს განსხვავებული ხმები. სწორედ რთული პოლიფონი ნიშნავს მრავალხმიანობას, ნიშნავს ნამდვილ დიალოგს.

ფასეულობათა ერთიანი სისტემის გაზიარება ხშირად უბრალოდ შეუძლებელია. უნდა შევთანხმდეთ, რომ რაღაცაში ვერ ვთანხმდებით და ამ ნიადაგზე ავაგოთ კომუნიკაციის სივრცე. ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის სივრცე, სადაც თანაარსებობს განსხვავებული ჭეშმარიტებები და ინტერესები. სადაც ყველა „მე“-ს აქვს საკუთარი ჭეშმარიტებების ძიებისა და დადგენის უფლება. ეს არის სიტუაცია, როდესაც მნიშვნელოვანია არა იმდენად კომპრომისის მიღწევა, რამდენადაც სურვილი ერთმანეთის გაგებისა. მხოლოდ ერთადერთი რეალობის ჭეშმარიტების რწმენამ (განმანათლებლობის, მოდერნის დისკურსი) უნდა დაუთმოს ადგილი მრავალი რეალობის და მრავალი ჭეშმარიტების მქონე სამყაროს. მე ვუშვებ სხვა რეალობებისა და ჭეშმარიტებების არსებობას და ლეგიტიმურობას, მითუმეტეს რომ ისინი ისევე მნიშვნელოვანია სხვისთვის, როგორც ჩემი რეალობა და ჩემი ჭეშმარიტებები ჩემთვის. ამ ტიპის პოლიფონიის, ამ ტიპის დიალოგის წარმატება დამოკიდებულია დიალოგის სუბიექტთა სულიერ, ინტელექტუალურ და კულტურულ დონეზე და, ასევე, განათლების დონეზე.

დიალოგს ადვილად იწყებენ ინდივიდები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, ამაღლდნენ ვიწრო ნაციონალურ ინტერესებზე. სიტუაცია რთულდება, როცა დიალოგში შესვლას ცდილობენ ეთნოსები თავიანთი ნაციონალური მითებით და ისტორიული მეხსიერებით (დავიწყებებით), ან სხვადასხვა რელიგიები, სადაც წინა პლანზეა რწმენა, გრძნობები და ემოციები და არა რაციო და რაციონალური არგუმენტაცია.

მრავალფენოვან კულტურებში დიალოგს ასევე ართულებს სხვადასხვა კულტურული არტეფაქტების კუთვნილების საკითხები, ე.წ. „საკუთრების უფლებისათვის ომი“. ამ „ომში“ იარაღებად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტექსტები, რუკები, კერძები, ანეკდოტები და სხვ.

ბუნებრივია ისიც, რომ ფასეულობათა სისტემების და რეალობის ინტერპრეტაციული სქემების სრული არათავსებადობა დიალოგს თითქმის შეუძლებელს ხდის.

თანამედროვე სამყარო უფრო და უფრო მრვალხმიანი ხდება. ეს გარემოება განაპირობებს, როგორც მის სიძლიერეს, ასევე მის პრობლემურობასაც. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოსთან დაკავშირებითაც. პრობლემურობის მიუხედავად, მრავალხმიანობის გარეშე ქართული კულტურა მთლიანად კარგავს თავისებურებას და ცხოვრების უნარს. ამიტომ დროა, მრავალხმიან მსოფლიოში მრავალხმიან, ანუ სამოქალაქო ერად დავიწყოთ ცხოვრება.

პირთა საძიებელი

ასმანი იან (დ. 1938) — გერმანელი ეგვიპტოლოგი, რელიგიისა და კულტურის ისტორიკოსი

ანდერსონი ბენედიქტ (1936 – 2015) - ბრიტანელი პოლიტოლოგი და სოციოლოგი

ასათიანი სალომე (დ. 1976) - ჟურნალისტი, პუბლიცისტი

აფრასიძე დავით - პროფესორი პოლიტიკის მიმართულებითბარინგტონი ლოუელ - აშშ-ს მარკეტის უნივერსიტეტი, პოსკომუნისტური პოლიტიკისა და ნაციონალიზმის საკითხების მკვლევარი

ბელუში იოანე (დ.1956) - კორჩეს მიტროპოლიტი, ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესია

ბლერი ენტონი ჩარლზ ლინტონ (დ.1953) - გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1997-2007 წლებში, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი (1994-2007)

ბრემერი იან (დ. 1969) - ამერიკელი პოლიტოლოგი (political scientist)

გამსახურდია ზვიად (1939 – 1993) - მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991—1992)

განდი მოჰანდას კარამჩანდ (1869 - 1948) — ინდოელი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე

გელნერი ერნესტ (1925-1995) - ფილოსოფოსი, ანთროპოლოგი. კემბრიჯის უნივერსიტეტის სოციალური ანთროპოლოგიის პროფესორი; ბუდაპეშტის ცენტრალურ-ევროპული უნივერსიტეტში ნაციონალიზმის კვლევის ცენტრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი

გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749 - 1832) - გერმანელი მწერალი, ლიტერატორი, მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე.

დავითაშვილი ზურაბ (დ.1953) **-** თსუ-ს პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

ვაჟა-ფშაველა (1861 – 1915) - ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, მოაზროვნე

ზედანია გიგა (დ.1977) - ფილოსოფოსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 2014 წლიდან

ზოლიანი სურენ (დ.1955) - მწერალი, პუბლიცისტი (სომხეთი)

თევზაძე გიგი (დ.1967) - ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი

კაკაბაძე ირაკლი (დ.1969) - მწერალი, პუბლიცისტი.

კამერონი დეივიდ უილიამ დონალდ (დ. 1966) — ბრიტანელი პოლიტიკოსი, კონსერვატიული პარტიის ლიდერი. გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი (2010 - 2016)

კონი ჰანს (1891 - 1971) - ამერიკელი ისტორიკოსი, სოციოლოგი, ნაციონალიზმის საკითხების მკვლევარი

კორნელი სვანტე - აშშ-ს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პაულ ჰ. ნიცეს სახელობის უმაღლესი საერთაშორისო მეცნიერებათა სკოლის მკვლევარი

კორტუნოვი ანდრეი (დ. 1957) - რუსი პოლიტოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე

მაინეკე ფრიდრიხ (1862 – 1954) - გერმანელი ისტორიკოსი

მაისურაძე გიორგი (დ. 1970) - მწერალი, კულტურის მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, პუბლიცისტი

მაკრონი ემანუელ ჟან-მიშელ ფრედერიკ (დ.1977) — ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის პრეზიდენტი (2017 - დღემდე)

მამარდაშვილი მერაბ (1930 — 1990) - ფილოსოფოსი

მაჭარაშვილი გიორგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი

მახარაძე ზურა - პუბლიცისტი, ბლოგერი

მერკელი ანგელა დოროთეა (დ. 1954) — გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე. გერმანიის პირველი ქალი კანცლერი (2005 - დღემდე); 2000-2018 წლებში ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე

ნოდია გია (დ. 1954) - ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, „მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ თავმჯდომარე

პირსი ჩარლზ (1839-1914) - ამერიკელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ლოგიკოსი

ჟვანია ზურაბ (1963 - 2005) — ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი (2004-2005)

რენანი ჟოზეფ ერნესტ (1823 – 1892) — ფრანგი მწერალი, ფილოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე

საბანაძე ნატალი - ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი და ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი (2013 წლიდან), პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

სარკოზი ნიკოლა (დ. 1955), ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის პრეზიდენტი (2007-2011)

სმითი ენტონი (დ. 1939) - ბრიტანელი მეცნიერი, ნაციონალიზმის მკვლევარი

ფირალიშვილი ზაზა (დ. 1957) - ფილოსოფოსი, მწერალი, პუბლიცისტი

შათირიშვილი ზაზა (დ. 1966) - ფილოლოგი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი

შოშიაშვილი ნუკრი (დ.1955) - ისტორიკოსი, ბლოგერი, პუბლიცისტი.

ჩხეიძე ირაკლი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახე-

ლმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი

ჭავჭავაძე ზურაბ (1953 - 1989) — ქართველი დისიდენტი, 1980-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი

ჭავჭავაძე ილია (1837 - 1907) — ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

ხალვაში თამთა - ანთროპოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჯონსი სტივენ - ბრიტანელი ისტორიკოსი, პოსტკომუნისტური საზოგადოების, აღმოსავლეთ ევროპის და საქართველოს საკითხების მკვლევარი

ჰაჩინსონი ჯონ - (დ.1949) - ბრიტანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ნაციონალიზმის საკითხების მკვლევარი

ჰობსბაუმი ერიკ ჯონ ერნესტ (1917 – 2002) - ბრიტანელი ისტორიკოსი, ნაციონალიზმის საკითხების მკვლევარი

ჰროში მიროსლავ - ჩეხი პოლიტოლოგი, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი

ბიბლიოგრაფიის სქოლიო

1. https://m2b.ge/post/198155-makronis-azrit-evropasi-samoqa-laqo-omi-mwifdeba
2. ttps://www.bbc.com/russian/international/2010/10/101016_merkel_multiculturalism_failed
3. იქვე.,
4. https://www.bbc.com/russian/features-38773638
5. https://antikominfo.livejournal.com/21275.html Feb. 11th, 2011
6. Giorgi Masalkini. „On Some Aspects of the Radicalization of Modern Consciousness "// Anthology of the Scientific Studies. Section on Psychology. Batumi, BSRSU. 2019, Volume 1, Number 1, p.61-68.
7. Андрей Кортунов, От постмодернизма к неомодернизму, или Воспоминания о будущем//Россия в глобальной политике. Спецвыпуск. Консерватизм во внешней политике: XXI век. 2017. https://globalaffairs.ru/issues/archive/
8. გია ნოდია. „ქართული იდენტობის ევროპულობა ძახილისა და კითხვის ნიშნებს შორის". https://burusi.wordpress.com/2010/09/16/ghia-nodia/
9. გია ნოდია. აჩრდილი დაძრწის საქართველოში, ეროვნული იდეოლოგიის აჩრდილი... www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library)
10. ირაკლი ჩხეიძე. ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში. 2016. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irakli_chxaidze.pdf
11. სალომე ასათიანი. https://www.radiotavisupleba.ge/a/სალომე-ასათიანის-ბლოგი-კაცობა-და-იდენტობის ისტერია. მაისი 25, 2018
12. გიორგი მაჭარაშვილი. ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევები თანამედროვე საქართველოში (კრიტიკული მიმოხილვა) თეზისები. https://www.academia.edu/14455330/
13. გია ნოდია. ქართული იდენტობის ევროპულობა ძახილისა და კითხვის ნიშნებს შორის. გვ. 1. https://burusi.wordpress.com/2010/09/16/ghia-nodia/

14. ზურა მახარაძე: ახალი ეროვნული ნარატივის ძიებაში. გვ. 1. / 02.03.2016. http://european.ge/zura-makharadze-axali-erovnuli-narativi/)
15. გია ნოდია. იქვე.
16. ირაკლი ჩხეიძე. ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში. 2016. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irakli_chxaidze.pdf.
17. რაკლი კაკაბაძე. ეთნოშოვინიზმის წინააღმდეგ. გვ. 2. http://european.ge/ 20.07.2011
18. ნუკრი შოშიაშვილი: ტრადიციული სახელმწიფო და ნაციონალური სახელმწიფო. 26.04.2016. http://european.ge/nukri-shoshiashvili-tradiciuli-da-nacionaluri-saxelmwifo/
19. გიგა ზედანია – "ორ ნაციას შორის? ნაციონალური იდენტობის საკითხი საქართველოში." 16.09.2010 https://burusi.wordpress.com/2010/09/16/giga-zedania-9/
20. გია ნოდია. აჩრდილი დაძრწის საქართველოში, ეროვნული იდეოლოგიის აჩრდილი... www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library
21. http://www.mamardashvili.ru/czitaty.html
22. ზაზა ფირალიშვილი. ხალხის ისტორიაში დაბრუნება და ლიბერალიზმის ბედი. „ჭკუა ვაისაგან": სტატიები / მშვიდობის, დემოკრ. და განვ. კავკ. ინ-ტი ; [რედ.: გია ჭუმბურიძე] - თბ., 1994
23. მარიამ ჩხარტიშვილი. ქართველი ერის იდეა ნაციის ფენომენის შესახებ ევროპული დისკურსის ფონზე https://www.researchgate.net/publication/324361417
24. ილია ჭავჭავაძე. ოსმალოს საქართველო, გვ. 1. https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/iliatchavtchavadze-osmalossaqarthvelo.pdf
25. გიორგი მაისურაძე – „მამული" და „ქართვლის დედა." Posted by: burusi | 24/03/2011. https://burusi.wordpress.com/2011/03/24/giorgi-maisuradze-8/
26. ირაკლი ჩხეიძე. იქვე.
27. იქვე.
28. ნუკრი შოშიაშვილი. ყალბი იდენტობები და ნარატივები. http://

european.ge/nukri-shoshiashvili-yalbi-identobebi-da-narativebi/
29. მერაბ მამარდაშვილი – “ბავშვობა და ზრდასრულობა”. Posted by: burusi | 29/05/2009. https://burusi.wordpress.com/2009/05/29/merab-mamardashvili-4/
30. შოშიაშვილი. იქვე.
31. Век XX и мир. Москва, 4/90. გვ. 46.
32. ირაკლი ჩხეიძე. იქვე.
33. იქვე.
34. იქვე.
35. გელნერი ერნესტ. ერები და ნაციონალიზმი. გამომცემლობა „ნეკერი“. 2003
36. ერიკ ჰობსბაუმი. ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან. პროგრამა, მითი, რეალობა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012
37. გიგი თევზაძე – “დიდი იდენტობა”. Posted by: burusi | 16/09/2010. https://burusi.wordpress.com/2010/09/16/gigi-tevzadze-8/
38. ირაკლი ჩხეიძე. იქვე.
39. ირაკლი ჩხეიძე. იქვე.
40. ლ.ფირალიშვილი-იაკობაშვილი, წერილები ქართულ იდენტობაზე : ქართული პოლიტიკის თეატრალური დიალექტიკა: წერილები /ლ. იაკობაშვილი–ფირალიშვილი, ზ. ფირალიშვილი ; რედ. : სესილი ძებნიაური. თბ.,2007
41. ირაკლი ჩხეიძე. იქვე.
42. https://www.youtube.com/watch?v=Pe4QP3_u3WY. Mar 31, 2017
43. ბელუში იოანე. ეთნიკური კონფლიქტები და მართლმადიდებელი ეკლესია. 05.02.2011. http://www.ortho-doxtheology.ge
44. ილია. ოსმალოს საქართველო. გვ. 4. http://library.accept.ge/?id=62.
45. ირაკლი კაკაბაძე. ეთნოშოვინიზმის წინააღმდეგ. გვ. 1. 20.07.2011. http://european.ge
46. https://politikuriideologiebi.wordpress.com/2012/10/28. ემუქრება თუ არა საქართველოს რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღორძინების საფრთხე?

47. სვანტე კორნელი. რელიგია, როგორც ფაქტორი კავკასიურ კონფლიქტებში. http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/svantecornell.shtml
48. იქვე.
49. იქვე.
50. იქვე.
51. Мамардашвили М. Необходимость себя. Москва, 1996, стр. 32
52. გიორგი მასალკინი. „მერაბ მამარდაშვილის ერთი მეტად ცნობილი გამონათქვამის შესახებ“//ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2011.
53. https://www.youtube.com/watch?v=Kd3FGKfJTtc. Mar 31, 2017
54. ირაკლი ჩხეიძე. იქვე.
55. თამთა ხალვაში. სირცხვილის პერიფერია. 28.03.2016. https://emc.org.ge/ka/products/sirtskhvilis-periferia
56. СУРЕН ЗОЛЯН. Логика предпочтений и решение конфликтов (на примере Карабахского конфликта). Сб. науч. тр. / РАН. ИНИОН. М., 2012.
57. ზაზა ფირალიშვილი. ნაციონალიზმი და განათლება. ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები. სერია „ევროპული ძიებანი“, სტატიების კრებული, 2006, თბილისი, 2007
58. გელნერი ერნესტ. ერები და ნაციონალიზმი. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“ 2003
59. ირაკლი კაკაბაძე. ეთნოშოვინიზმის წინააღმდეგ. http://european.ge. 20.07.2011

საქართველოს პოლიეთნიკურობა და პოლიკონფესიურობა

საფრთხე თუ გასაფრთხილებელი მონაპოვარი?

გიორგი მასალკინი

გიორგი მასალკინი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. დაამთავრა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიაში.

კითხულობს კურსებს ფილოსოფიის სხვადასხვა დისციპლინაში, მათ შორის პოლიტიკურ ფილოსოფიაში. მანამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევების განყოფილების მეცნიერ-მუშაკი და ფონდ „ღია საზოგადოება – - საქართველოს" უმაღლესი განათლების პროგრამების ექსპერტი. ფაკულტეტების განვითარების საერთაშორისო პროგრამით (FDFP) მუშაობდა მიწვეულ მკვლევრად სოციალური კვლევების ფაკულტეტზე ნიუ-იორკის უნივერსიტეტ „ახალ სკოლაში".

იგი არის სამეცნიერო სტატიების ავტორი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო გამოცემებში ინგლისურ და რუსულ ენებზე.

აკადემიურ საქმიანობასთან ერთად გიორგი მასალკინი აქტიურად ეწევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. სამჯერ იყო არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნევრად. აგრეთვე წარმოადგენდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესში.

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სამოქალაქო იდეა

Kingdom of the Netherlands